



დიმიტრი ნიკლაური

ხელგაუღლილი ქუნნი რაბო

დასასრული
დასაწყისი N254

3

დილით კარი ისე გამოვალე, თითქოს წარსულის სანახავად ფუჭად მოვსულიყავი. იგი გაქვავებულ კედლებს ჰგავდა, რომლის ნიაღმიც შეღწევას ამოდ ვცდილობდი. რადგან ყოველი წამი წარსულად გვექცევა მანამ, სანამ ჩვენ თავად არ ვიქცევით წარსულად. მერე ეზოს გადავხედე და ყველაფერს მივხვდი. აი, თურმე ტოფო ამდენს რატომ მელაპარაკებოდა. ავზის დასადგმელად ჩემი ტერიტორია თავს ესარგებლა. სახლი ხომ მომიჯნავედ ჰქონდა, უფრო მეტიც, ჩემ კარმიდამოს ებჯინებოდა, მაგრამ ხმას არ გავიღებდი, ძველი, კეთილი მოგონებები მზლუდავდა. კარკასს შევხედე, რომლის მშენებლობაც ადრე წამოვიწყე, მაგრამ აღარ გამიგრძელებია. ნახევრამდე მიყვანილი საქმე მივატოვე. ერთად მოტანილი მასალა ცოტაცოტაობით გაეზიდათ და თან მთელი ეზო მოუხრებინათ. აქ ჩემი ადგილი აღარ იყო, მაგრამ ვერც სხვაგან მომეკიდებინა ფეხი. სოფელში ერთადერთი პერსპექტივა ტოფოსთან გასაუბრებლად მდგომარეობდა.

მანქანაში იმდენი ბარგი განვათავსე, საბარგულში რომ ჩამტვია. სკამებზე მაინც არაფერს დავეყენე. მერჩივნა, შემდეგ წამოსვლაზე წამომეღო. მერე დავიძარი. სანამ ტრასაზე გავიდოდი, ქარმა დაუბერა და წვიმამ დაცხო. სოფელში ალბათ გაიხარებდნენ. ტოტები ისე იზნიქებოდა, თითქოს წყალმცენარეები ამბოხებულანო. შუშის სანმენდანი ჭრაჭუნობდა და მინის განმენდას ვერ ასწრებდა. მაგრამ ამინდი როგორი სისწრაფითაც აირია, ასევე უცებ გაიძარა.

კარგა ხანს მოვდიოდი მდუმარედ, ერთი საათი მაინც. მერე ტელეფონზე დამირეკეს. მანქანა შლაგბაუმის გასწვრივ რელსებთან გადავყენე. ჩემი მეზობელი იყო, ნათლობა შემდეგ კვირისთვის გადავდეო, ბოდიშებს მიხდიდა. გუშინ ვერაფრით დაგიკავშირდი, შენი მობილური არ იჭერდა, ეტყობა ისეთ ადგილას იყავიო. ფუჭად მიჩქარია, მაგრამ აღარც უკან გაბრუნება ღირდა. მანქანიდან რომ გადმოვედი, ადგილი მეცნო.

ტაფობი — ეწერა მსხვილი ასოებით. რაგოს სოფელი ყოფილა. ჯანდაბას, გაუფული და წავიყოლებ-მეთქი, გადავწყვიტე. დრო მაინც თავზე საყრელად ჰქონდა. მანქანიდან გადმოვედი და ჯიხურისკენ გავემართე. იქ მისრეს გამოველაპარაკე, რაგო ერთდღიანობა-მეთქი, სოფელში ხომ ყველა ერთმანეთს იცნობს. პასუხად თავი დამიქნია და საყვირის ხმაც გაისმა. მან შლაგბაუმი ისე სწრაფად დაუშვა, ლუზის ჯაჭვივით აჭრიალდა. ლიანდაგზე სავაჭრო მატარებელი შემოდიოდა. მისრემ ლაპარაკი გამიბა, ეტყობა მატარებლის ხმას ისე იყო შეჩვეული, ბგერების გამოცალკევება არ უჭირდა. მე კი არაფერი მესმოდა საშინელ რახრახში, დროდადრო ჩემი მანქანა რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ფრაგმენტისვით. იქნებ რასაც ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ანარეკლი იყო, მთავარ გამოსახულებას მაინც ვტოვებდით, აჩრდილებთან დავძრწოდით და მათ ვესაუბრებოდით. ყოველთვის ვიფიქრებდი, რომ მისრემ უმჯობესი სიტყვები წარმოთქვა, ვიდრე სინამდვილეში, მაინც არაფერი გამიგია. მატარებლის ხმაზე კატაც დაფრთხა და ჯიხურის სახურავზე აფორთხდა. იქიდან ხეზე გადაძვრა და ვინრო ტოტს ჩაებლაუჭა. სიჩუმე საბოლოოდ მაშინ ჩამოგდა, გრძელი შემადგენლობა რომ შეჩერდა, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. გამახსენდა, მანქანა რომ არ ჩამიკეტია.

— არ იდარდო! არავინ მოკიდებს ხელს, კარგად დგას, არც სატივროს შეუშლის! — თქვა მისრემ. თავი სახელმწიფო

კადრად მიაჩნდა, საჯარო მოხელეებს კი ჩვევით საქმიანი იერის გამოსახვა. კერძო პირებს როგორღაც ზემოდან დაჰყურებენ.

მეისრის ჯიხური მომცრო იყო, ვინრო კედლებით გამიჯნული. ეს კედლები განძელებისგან შეეკონინებინათ. ზედ გაზინთული შპალერი გაეკრათ, ნესტიანი ლაქები რომ აჩნდა და ნებოვნებაც დაჰკარგოდა. დაბრეცილი ქალაღი კუთხეებში ახევას იწყებდა. უკვე ბევრგან იყო ამძვრალი. ერთი ბოლო რომ ჩამოგეხია, მთლიანად ჩამოყვებოდა. მეისრე განძელებს შპალებს ეძახდა, მიყვარს მისი სურნელებო. მერე რა, რომ დასკდომას იყო და დაპობილ შეშას დამსგავსებოდა. კიდევ დიდხანს გაძლებდა და გრძელი შემადგენლობის რყევით ჩავლისას მხოლოდ სანყალობლად იყანყალებდა.

— ზუსტად ვიცი, რაგო ხუთსაათიან ავტობუსს გაყვება, ყოველთვის ასე აკეთებს! — თქვა მან.

— დიდად არ ვჩქარობ, მაგრამ მაგდენ ხანს მაინც ვერ დავიცდი!

— მაშინ რა გითხრა, ან სასაფლაოზე იქნება, ან სოფლის კლუბში, ანდა ვინ იცის!

— ფეხით წავალ, სოფელს მაინც ვნახავ! — ვთქვი მე, — ცოტა გასეირნება არ მანყენდა!

რკინიგზას გასწვრივ ჯართით სავსე ტერიტორია ესაზღვრებოდა, სადაც სოციალიზმის დროდან დარჩენილი ათასობით სანარმო ნაშთი იყო მიმობნეული. სანყობები რელსებთან განეთავსებინათ. ვილაქები ამ ნაშთებს შესეოდნენ და ვაგონებში ტვირთავდნენ. ისეთი პირი უჩანდა, რომ ეს პროცესი დიდხანს გასტანდა. ფიცრულ იატაკზე, რომელზეც მრავალი ლურსმანი ჩაესოთ, ბრაგუნით ყრიდნენ უფარგის ნივთებს. განძელები იქაც ელაგა. გზის და რელსების გასაყარზე გამხმარი ბალახები უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ლითონის კორპუსი განცალკევებით იდო. მანქანის დანჯღრეული ნაწილებიც ყვარა, შეჭყაყილი ბიდონიც ეგდო, რომელსაც ვერც ვერაფერი იყენებდნენ და ვერც ელეოდნენ, ჯართში ჩაბარება იმიტომაც გადაწყვიტეს. ამდენი მძიმე და უმნიშვნელო საგანი ერთმანეთზე ისე მჭიდროდ განათავსეს, გეგონებოდა, სადაცაა ყველაფერი ჩაყრავდებოდა.

ტერიტორიის გასწვრივ ცარიელი ჯიხურები გამოჩნდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ღია, თითქმის გზისპირას, ეტყობა ზედ ტრასასთან დადგმის ნებას არ რთავდნენ. იქაც მზესუმზირა და სალექ რეზინი იყიდებოდა. კიდევ მუყაოს ქალაღზე დანებებული ფერადი სურათები იცნობილ მსახიობთა პორტრეტებით. ეტყობა თავისი მყიდველი ასეთ რამეებსაც ჰყავდა, რახან ციცქნა გამყიდველი მოთმინებით ელოდა მათ გამოჩენას. საყრდენს ნებოვანი ზედაპირი ჰქონდა, ალბათ იმიტომ, რომ არ დაყრდნობოდა. გამყიდველს ვკითხე, რაგოს სად ვნახავ-მეთქი. სოფელში იკითხეთ, მირჩია. გზა განვაგრძე და ერთ ქალს გადავანყდი, ამ სიცხეში დათბილული ზედა რომ ეცვა, წინ კი ტაბურეტი დაედო. ისიც მზესუმზირას ჰყიდდა ქალაღის პარკებით. შორს, ფერდობზე სახლი მიჩვენა, რაგოს ეკუთვნის, ჯერ იქ მოიკითხო. სოფელს თურმე ადრე მუყავე წყლებს ეძახდნენ. ტაფობად ქცეული მიდამო სამყაროს კიდეს ჰგავდა, მუყავე წყლები გზის გაყვანის დროს გამქრალიყო, მხოლოდ სახელი დარჩენოდა. განთილებული ნაკვალევიც ამაზე მეტყველებდა.

ერთი-ორგან აღმართულ ტრაფარეტზე სიცხისა და წვიმისგან ნარწერები ისე გადახუნებულიყო, ნამყოფი თუ არ იყავი, გზას ვერც გაიგებდი. მიტოვებული სახლები ფიცრებით აქვდათ, ნესტსა და შმორს მთელი ავეჯი გაეფუჭებინა, ამობურცული ზედაპირი უსიამო სანახავი იყო. სკამები თოკებით გადაებთა, დახვეული ლეიბები



ლოგინზევე დაენყო. ეტყობა, წაღებას აპირებდნენ, მაგრამ აღარ მობრუნებულან. ან ვერ მოიცალეს, ან გზის ხარჯად აღარ უღირდათ.

მთელი დასახლება გოლიათის ჩიბუხიდან დაბნეულ ფერფლს ჰგავდა, მოსახლეობაც ქარს რომ გაეხვევტა. აქ დარჩენილი მცხოვრებნიც თავიანთი სახლებივით უბადრუკად გამოიყურებოდნენ, რაც იშოვეს, იმით შემოსილიყვნენ. სახეზე, განიერ ქულებში რომ მალავდნენ, გულჩათხრობილი მზერა აღბეჭდოდნენ. მთელ ამ დუხჭირ შემოგარენში საზეიმო განწყობა მხოლოდ მზეს გააჩნდა, სხვა დანარჩენი სოციალურად მძიმე ელემენტებს მოეცვა და რუხი საღებავებით შესრულებულ ფერწერულ ტილოს ჰგავდა, გამოფენისთვის დაწუნებული ნამუშევარივით უღიმღამოდ რომ აღიქმებოდა. ყოველი არსებული ფორმა ხომ დამცხრალი სტიქიის შედეგია. წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა აქაურობა ამ შენობების გარეშე პირველქმნილი სახით. მდინარე მდორედ მიედინებოდა გაუდაბრებულ ფერდობებს შორის, გეგონებოდა გამოფატრულ საქონელს სისხლი სდისო. ეკლიანი ბუჩქები, მოცრო კაქტუსებს რომ ჰგავდა, მთელ არემარეს ვრცლად მოსდებოდა. ზედ ფუჭად დათესდნენ რამეს. ზოგიერთი სახლი ნანგრევად ქცეულიყო, ბარაკიც აღარ ეთქმოდა, მხოლოდ კედლები იდგა, ფსტის ნაცვლად ცით და სივრცით გადახურული. გზიდან აქა-იქ ორლობებში შუკები შედიოდა.

სიცხეში მოყიფინე ბავშვებს სახე ულაპლაპებდათ, ზეთით გაზინთულებს ჰგავდნენ. ეტყობა აქაურობას აუტანელი პაპანაქება ჩვეოდა, ჩიხებიც კი იხუთებოდა. ვერც დიდრონი ხეების ჩრდილში ჰპოვებდი შვებას. წყალი ბლანტი ხდებოდა და ნაპირებთან გუბდებოდა, ლამის ჭაობად ქცეულიყო, ხოლო შაერი ცხელი აბაზანის ორთქლს დამსგავსებოდა. მზე გარემოს მოვარაყებას ტოფოსავით განაგრძობდა. ადამიანებში ასეა მიღებული, როცა კადრი ვერ ამართლებს, შემცვლელს უძებნიან, ბუნება კი მზის გამოჩენას სრულ ნდობას უცხადებდა. მერე ღრუბლები ისე ეფინებოდა ცას, თითქოს ვეება საბნები გაშალესო, მაგრამ მცხოვრებნი მაინც მზის თაყვანისმცემლებივით ელოდნენ მზის გამოჩენას. მინაც ცხელი იყო. ამიტომაც ამოდიოდნენ ქვეწარმავლები და იქაურობა ხვლიკების დედაქალაქს ემსგავსებოდა. მცხოვრებლებიც მათ ჰგავდნენ, უღიმღამო ფასადებთან მარცვლეულს რომ ეზიდებოდნენ და ნელეზე თავიანთი ნაფეხურები ეტყობოდათ.

რაგოს სახლში, მიხედვის რომ არაფერი ეტყობოდა, არავინ დამხვედრია. კაცმა არ იცის, ფული სად მიჰქონდა. საინტერესო ხედი იშლებოდა. სიმეტრიულად განლაგებული ფერდობები ტოლფერდა სამკუთხედს ქმნიდა. ნუთუ ეს იყო რაგოს სანუკვარი მხარე, რომელიც ისეთ ადვრთოვანებაში მოჰყავდა ამ ჩამკვდარი ბარაკების ხილვას, გული ალბათ ამოვარდნას ჰქონდა. ეს ალაგი ქცეოდა სავანედ და თავს ველარაფრით დააღწევდა. ზღურბლზე ჩამომჯდარს ძილი მომერია, მეჩვენა, თითქოს რაგოს დაჟინებით ვუმტკიცებდი, ხომ გეუბნებოლი, მოვალ-მეთქი,

თავსხმაც რომ იყოს, მაინც ჩამოგაკითხავ-მეთქი... რომ გამომეღვიძა, მარტო ვიყავი. მდინარესთან დავეშვი და ხიმინჯებზე შემდგარ სახლს მივადექი, თავიდანვე რომ დავინახე. ეზოში მხოლოდ გაჩხიკული ბიჭი დარბოდა და გაქუცული ძილი დასუნსულვდა. სარეცხის თოკები ომ სიგრძეზე გაებათ, გეგონებოდა ჰორიზონტს ერწყმისო. ზოგან სარეცხის ნაცვლად ტომრები შრებოდა. აივნის კედელზე ლურსმები მიეჭედებინათ, ზედ ჩირის და ნივრის აცმები ეკიდა. ფანჯარა ოთახის გულისპირს ჰგავდა, გადმოშვერილ ფარდებს ნიავი ოდნავ არხევდა, თითქოს საკინძე შეხსნიო. მერე ვილაც ქალი გამოჩნდა, ყელზე იაფფასიანი სამკაული რომ უბრჭყვიავლვდა.

— ვის ეძებთ? — მკითხა მან.

— რაგოს სახლიდან მოვდივარ, იქ არავინ დამხვდა, ხომ არ იცნობთ?

— ერთი საათის წინ იქით დავინახე, — თითი მინაყრილისკენ გაიშვირა, — გზებზე გასაყართან, ზემო გზა სასაფლაოსთან მიდის, ქვემო გამგეობის შენობასთან. მერე აღარ დამინახავს, საით წავიდა!

თემშარაზე შავგვრემანი ბიჭი გამოჩნდა. ქალმა დაუძახა, ერთხანს გრუზა თმებზე აკვირდებოდა, მერე კი ჰკითხა, სევერიანის შვილშვილი ხომ არა ხარო, ბიჭმა თავის ქნევით დაუდასტურა.

— ამ კაცს სასაფლაოს გზამდე მიჰყევი, ხომ მაინც იქით მიდისხარ! — თქვა და თავის შვილს უხმო, გაკრახმალეული თერთრული რომ გაეჭიმათ. მადლობის ნიშნად თავი დაუყარო. ის ბიჭი უბრად გამიძღვა. სასაფლაო სოფლიდან კარგა მანძილზე ყოფილა. ვიფიქრე, რაგო ჯერ იქ მივიდოდა. ტერიტორიას დაბალი ყორე ერტყა. ნეტავ რა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ დაბალ გალავანს, მუხლამდე რომ გწვდებოდა. სხვაგანაც მინახავს და დავფიქრებულვარ. ველური ჭინჭრები და საფლავის ქვებზე გამოსახული სახეები ერთმანეთში ირეოდნენ, თითქოს ასეთად იყვნენ და არც ცდილობდნენ უკეთესად წარმოჩენილიყვნენ. იქვე ეკლესია ჩანდა მოხატული კედლებით.

— როგორ გაჩანაგებულა! — მივმართე მესანთლეს.

— ჩვენ ნურაფერს დავაბრალვებთ! — აღშფოთდა იგი, — ჩვენამდე გააჩანავეს!

მონლოლოდა შემოსევებს თუ გულისხმობდა. გარეთ დედაბერი იდგა განვდილი ხელით. მონახა ამანაც სამათხოვრო ადგილი-მეთქი, გავიფიქრე. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ხურდას როცა ვუნწვიდი. რაგოს შესახებ გამოვკითხე. ბავშვობაში და ტიფით ვარდაცვლოდა, მშობლებიც დარდს გადაჰყოლოდნენ, მათ საფლავებზე ხშირად ამოდისო, თქვა. მერე ადგილსამყოფელი მიმასწავლა.

— თუ არავინ დავხვდა, ესე იგი წასულა! დიდსულოვანი კაცია, რაგო! გული მწყდებოდა, ოჯახს რომ არ მოეკიდა. მარტო ცხოვრობს, თვითონ უწევს ტანსაცმლის კემსვა და რეცხვა, დღეს ქალაღის ფული მაჩუქა! — მსხვილი კუპიურა აღტაცებით მიჩვენა და სევდიანად განაგრძო, — ყოველ ამბავს საფლავის ქვა გაასრულებს. წარწერებს ხავსი მოვდება. ქვეყნად მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა. ეს ჩვენ ვაზ-



ვიადებთ. ისე კარგია, სათითაოდ რომ ვიხილო, ერთმანეთის დაბრუნებას მინც ვასწრებთ, მაგრამ სხვებისთვის ზრუნვა საკუთარ თავს გამოგატოვებინებს! — ეს ბოლო სიტყვები რალაცნაირად თქვა, იქნებ საკუთარ ამბავს გულისხმობდა, იქნებ რაგოს, იქნებ სულაც ორივეს.

საფლავზე არავინ იყო და უკან გამოვბრუნდი, გასაყართან, მერე ქვემო გზას გავუყევი, რომელიც გზაჯვარედინს კვეთდა. მთავარი მოედანი დღესასწაულებით სთვსაა საჭირო, სახალხო კარნავალისთვის, სადაც აღმასრულებელი პირები მხოლოდ იმიტომ გამოჩნდებიან ხოლმე, ხალხს მათი არსებობა რომ არ მიავიწყდეთ. აი, ახლაც, ვილაც წარმომადგენელი წვეოდით, ათიოდე გლეხი შემოეკრიბა ირგვლივ და როცა ჩოჩქოლი მიწყდა, ენად გაიკრიფა:

— ჩვენ ქვეყანას სულიერი, სასაზღვრო და ეკონომიური პრობლემები აქვს, მაგრამ სხვა მხრივ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად არის, ჩინებულადაც კი, დღისით მზე ამოდის და ღამით ვარსკვლავები კაშკაშებს, ქვეყნის საერთო მდგომარეობა ჩვენ სოფელზეც აისახა. აქაურობა ქვის დასახლებას ჰგავს მომაკვდინებელი იერით. ეს კი წინსვლას აფერხებს. ჩახერგილი გზები სახელმწიფოს მოშლას ემსახურება. მინის მთელი სივრცე განვრცობილი სიმდიდრეა, ხოლო მადანი კონცენტრირებული განძი. რკინა გაცილებით ბევრი მოიპოვება მასალისთვის, სპილენძი კი ცოტა მოსავარაუდებლად. ყველაფრის გამოყენება მოგვიწევს. სხვა გამოწვევების ზღურბლზე ვიმყოფებით, მაგრამ ზღურბლი დასასრულთან ერთად ხომ დასაწყისსაც ნიშნავს! — აღმატებულ აზრებს გაცილებით პათეტიკურად გამოთქვამდა, თითქოს ცხელ-ცხელ სტატიებს კითხულობსო, ხოლო სახე გახეთილი და დალაქავებული გახეთივით ატკეცოდა, ლამპის ქვეშ რომ დადებენ ხოლმე, ვინიცობაა ზეთი დაიქცესო. დიდი შებურტყილი ვინმე კი ჩანდა, ეტყობა, ძალაუფლებაში მოსვლა იმიტომ გადაწყვიტა, ცხემლი რომ არ აღმოჩენილიყო. ამიტომაც ათას რამეს პირდებოდა ამომრჩეველებს. რაგო არც მათ შორის იდგა. მოშორებით საცხოვრი შევნიშნე და იქით გავემართე.

— ლუმელში გამომცხვარს სხვა გემო აქვს! — ამისხნა მზარეულმა, საქმის ზედმიწევნით მცოდნე რომ ჩანდა და სახეც საუცხოო ჰქონდა — ზღვისფერი თვლები და მკაფიო ნაკვეთები, ლამაზუნდა მიგეშვირა და მისი ცქერით დამტკბარიყავი, გამჭვირვალე მზერით შორეთს გაჰყურებდა. იქნებ ბავშვობას იგონებდა, რაც უფრო შორდები, მით უფრო კეთილად რომ გახსენდება. ვილაც სიციხით გათანგულ ქალს თაიგული მოჰქონდა. ვითომ მოართვესო, გაჭორეს საცხოვში, არადა თვითონ იყიდდაო. ნეტავ ვისი რა საქმე იყო. ადამიანები გვერდიგვერდ დადიან, მაგრამ ზოგი იდრე დაჰყავს და ზოგი სიხარულს.

დასახლება არც ისე დიდი ჩანდა. ნახევარ საათში ბოლოში გახვიდოდი, მაგრამ რაგოს მოძებნა მინც ვერ მოვახერხე. სადაც მიმასწავლდნენ, იქიდან წასული მხედებოდა, თითქოს განსაზღვრული ნიშნული უნდა მომენახა და იქ შეეჩერებულყავი, თორემ უთავბოლოდ ვივლიდი ასე. დასასრულს ვერ ვპოვებდი. მერე გზა განვავრდი. ერთგან ხარიხები აეხორხლებინათ, ხიდის გადაბას თუ აპირებდნენ, გამვლელები ალბათ ფორთხვით გადადიოდნენ ზედ. წყლის თავზე ორთქლი ლიცილიცებდა, თითქოს მდინარე, ტახტზე გამოწოლილი, გათანგულ სხეულს ასვენებდნენ. დინების შუაგულში ქვა ეგდო, თავგაჩეხილ ქალას რომ წააგავდა. ზედ წერილი ჭაფლები გადადიოდა, გეგონებოდა უფერული სისხლი სდისო. ნაპირთან ბავშვები თევზაობდნენ და ნადავლს პირდაპირ მიწაზე ყრიდნენ. ჭუჭყიანი ჭიჭყინები ქვიშაში ამოგანგლულიყო. ნორჩ მებაღურებს პარკი დავინწყნოდათ, თუ ვერ ვიშოვეთ, ცეცხლზე შევწვათო, მწვანისაც აქვე დავკრეფთ, ოხრახუში ყველაზე მეტად მიყვარს, მისი სურნელი რეჰანისას მორჩევნიაო, დაეჩემებინა შედარებით უფროსს. რაგოს ვეძებ-მეთქი, გამოვლავლავარაკე. თავი გადაიქნია, დღეს არ დამინახავსო. რაგოს რომც ჩაეარა, ყურადღებას არც მიაქცევდნენ, ისე იყვნენ თავისი საქმით გართულნი. ვერც მე შემამჩნიეს, თვითონ რომ არ გამოვლავლავარაკებოდი. მერე ერთხანსაა ფუჭად ვიარე.

— სოფელი კი არა, ლაბირინთია! — აღმოვთქვი გაცხარებით, — იშვიათად ვინმეს რომ გადააწყდე!

ასაკოვანი კაცი შემომხვდა, მშვენიერი ადგილი გქონიათ-მეთქი, გამოვლავლავარაკე.

— რა აქვს მშვენიერი? ჩვენი შემხედვარე აქ დამკვიდრებული მდიდარიც კი სილატაკისთვისაა განწირული. შეძლებულსაც ბოგანოდ აქცევს, იფიქრებ, რისთვის გარჯილაო. ეს სახლები თუ დაინგრეოდა და ჩვენც დაგვცოცავდნენ, თანახმა ვიქნებოდი. როგორღაც იცოცხლო, დაე ასე წაანერონ ჩემს საფლავზე! — გაავებული ჩანდა, რაგოს ადგილსამყოფელზე კი არაფერი იცოდა.

გზის გაყოლებაზე სიმინდები დაეთესათ, რომელიც შემოღობილი ნაკვეთით თავდებოდა. იქ საქმიანი ეზოც მოეწყობა, აქა-იქ აგურის ნატეხები, ქვიშის გროვა და დაკეპილი ტომრები ეყარა. ეტყობა ქვიშა ამ ტომრებით მოეზიდა. ვილაც კაცი მოტორს ჩაჰკირკიტებდა. დაქოქვისას კბილანები მჭახედ ტრიალებდა, აშკარად ზეთი აკლდა. მის გარდა არავინ იყო. მხოლოდ კატები კნაოდნენ, გაფშეკილი კუდები რომ ეგრიხებოდათ, თითქოს ყველა ერთად მოუსაველეთო გადაკარგულიყო, ვინც კი ბედს დამდურებოდა. რაგოზე ვკითხე, მგონი იქით მოვკარიო თვალი, ქონგურებიანი სახლისკენ მიმითითა, გამგეობის შენობა ყოფილა. დახვეწილობის შეგრძნება გაგიჩნდებოდა, მაგრამ ისიც შელახული ჩანდა, ბათქაში ჩამოცვენოდა და აგურები გაშიშვლებული ნეკნებივით აჩნდა. ოდესღაც დასახლების ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაგებობად ითვლებოდა, სადაც რჩევისთვის დადიოდნენ, მაგრამ მიმდევლნი არაფრით შეცვლიდნენ ერთხელ არჩეულ ცხოვრების წესსა და ნირს. ყოველგვარ შემოთავაზებას დაჟინებით უარყოფდნენ, ფუჭი ყბელობა კი გულს ურევდათ. გამგეობა თავის ფუნქციას მინც ასრულებდა — რალაცის ნებართვებს იძლეოდა, რალაცის შეზღუდვებს აწესებდა.

ხელმძღვანელი ცივად მომესალმა. ეტყობა, ქალაქურ დილექტს ზიზღს უცხადებდა. რალაც ცნობარს ათვალთვებდა. ფორმის აგენტები მსტუმრობენ და ათას საქონელს მთავაზობენო, უკმაყოფილოდ აღმოთქვა, საინფორმაციო ლიტერატურა ტომრებით შემოაქვთ და სარეკომენდაციო სტატიებსაც არ გვაკლდებენ, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად საკაცებები გვჭირდება. საკაცების დიდი პარტია ჩვენთვის მისწრება იქნებოდა. ვინც სახლიდან ფეხით გადის, უმეტესობას საკაცებებით ვაბრუნებთ. ხალხს შია და ნერვიულობს. ხან ვინ ხდება ცუდად და ხან ვინ. ზოგი ყანაში ეცემა, ზოგი პირდაპირ გზაზე, მათ საკაცებზე ვათავსებთ და რაიონული ცენტრის ჰოსპიტალში გადაგვყავსო. მერე დაინტერესდა, რა საკითხზე ვიყავი მისული. რომ ვაიგო, რაგოს ვეძებდი, დამოკიდებულება შეიცვალა და სერიოზულად მომმართა:

— ოცი წუთის წინ წავიდა, ოღონდ არ ვიცი, საით! — თქვა და საშაქარლამე გადმონია ჩემსკენ. ზედ კანფეტები ეწყო.

— მიირთვით, სამარხვო შოკოლადია, რაგომ მოგვართავ!

— არა, მადლობელი ვარ! — თავი გადავიქნე.

— მიყვარს ასეთი ნუგბარი, თან მარხვას არღვევ, რადგან მინც შოკოლადია, თან არ არღვევ, რადგან მინც სამარხვო! — მერე თვითონვე აიღო და პირი გაიტკბარუნა, — დიდებული პიროვნებაა რაგო, მზრუნველი, სამკითხველოს გაფართოებაზე გვეხმარება, ბიბლიოთეკაზე ფართის მიშენებას ვაპირებთ, ხალხი მდის და როგორმე ხომ უნდა დავაკავოთ, რაგომ იმდენი ქვიშა მოზიდა, ყორნების გუნდს გავათეთრებდით! — თვითონვე მოეწონა შედარება, რომელიც დიდი მგონისგან ესესხა. მერე ერთხანსაა საარქივო საბუთების ჩხრეკას და დახარისხებას შეუდგა, ეტყობა იმისთვის, უსაქმურად რომ არ მიმეჩნია. ნეტავ რაში ჭირდებოდა კიდევ ერთი ოთახის მიშენება. მოსახლეობის რაოდენობა კლებულობდა, ვინც რჩებოდა, საკითხავად ვერ მოიცლიდა. რით გაამართლებდა განუულ ხარჯს? სამოსახლო სივრცე ისედაც იკუმშებოდა. ძველი ნანგრევები ბალახმა გადაფარა. არა მგონია, ამ მიწებისთვის რეალურ მყიდველს მოეკითხა, თითოეულ ნაკვეთს იმდენი

მენილე ყოვლებოდა, თანაც ისეთები, ფუძე რომ დაივინყეს, ფულზე კი უარს არ იტყობდნენ. რა ექნათ, თუკი ამ თიხნარევაში წამ ზღაპრული ბედის გამოსაჭედად თუ ვერ ივარგა, ბავშვობიდან რასაც გეგმავდნენ.

— მოსაწყენია სოფლის ცხოვრება! ყველაფერმა მობეზრება იცის, თანაც აღარც ქარხანა მუშაობს! — ეს ამბავი ისე გულისგამანვრილებლად მამცნო, ალბათ იფიქრა, რომელიმე ორგანიზაციას ხმას მივანვდენდი, რომლებიც მაშინვე დასახმარებლად გამოექანებოდნენ. რეაქცია რომ არ გამოეხატე, მშვიდად განაგრძო:

— არა უშავს, იოლად გავალოთ როგორმე, ისე რაგო სწორად მოიქცა, ქალაქში რომ გადაბარგდა. სამშობლო თავშესაფარია, რომელიც სხვებს დარჩათ, მათთვის უცხოა ჩვენებური ადათი. ჩვენ კი ვივინყებთ აქაურობას, თითქოს ბედს გავუზრბოდეთ, რომელიც წინასწარ განგვისაზღვრეს!

— გაქცევას შევბა არ მოაქვს! — ვთქვი უხალისოდ, — ეს მორიგ ჩიხამდე გაღწევას ჰგავს!

— არაფერს არ მოაქვს შევბა! — დამეთანხმა თავის კანტურით, რადგან ეს საქციელი მდებარეობასთან შესაბამისობაში მოდიოდა. ამ შენობაში ადრე კანტორა ყოფილა, კანტორა კი ისეთი ადგილია, სადაც თავებს აკანტურებენ.

იატაკზე ჟურნალები შეკვრებულად ეყარა, ეტყობა არც კი გაეხსნათ, ნაკითხავზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მომცრო მაგიდის ირგვლივ სკამები მწყობრად დაელაგებინათ, თითქოს ლექციისთვის ემზადებოდნენ. ყოველი მათგანი ჭრატუნობდა, მწირი ავეჯის ხვედრს ახმევანებდა, რალა მინცდამინც ამ დასაკარგავში გაგვამნესესო. წინა რიგში ისეთი დაბალი სკამები გამეწკრივებინათ, ქონდრისკაცებისთვის განკუთვნილი გეგონებოდა. მაგიდაზე გრაფინით წყალი იდგა.

— დავლევ, შეიძლება? — გავიშვირეთ თითი.

— მაცივრიდან მოგანვდი, ეს თბილი იქნება!

სანამ ჭიქას ავსებდა, მოსაცდელში უშფოთველი ლაპარაკი გაისმა, ყაყანად რომ აღიქმებოდა, რადგან ერთ სიტყვასაც ვერ გააჩრევდი. წასვლა რომ დავაპირე, ხელმძღვანელი დიდი ამბით გამომემშვიდობა. ნამოდგად და ხელი ჩამომართვა. ისეთი ცივი ჰქონდა, გეგონებოდა დიდხანს ედო იმ მაცივრის ყინულებში, საიდანაც წყალი გადმოიღო. სიმართლე ითქვას, რაგოს აღარც ვეძებდი. როგორღაც ხელი ჩავიქნე. ან რას ავიტყებ, ნავიყოლებ-მეთქი. თვითონ გააღმწედა როგორმე.

ისევე უკან გავებრუნდი. რკინიგზას რომ მივადექი, ჩემი მანქანა შორიდანვე შევნიშნე. მატარებელი წასულიყო, შორს ელმავალს მოვკარი თვალი ვაგონების უგრძესი მწკრივით. სადაც ჯართი ეყარა, ცეცხლი დაენთოთ, ბოლი ბოლქვებად იფანტებოდა ჰაერში.

— დიდად შეუვალი ვინმე გყოლიათ რაგო, — მივახალე მისრეს, ჩგრით ხელში ლამპის ჩამქრალ ნათურას დამჩნეულ ნათურებს რომ წმენდდა — ვერსად მოვიხელთე!

— სოფლიდან რომ გადის, მხოლოდ

მაშინ მნახულობს. რამე თუ დარჩა, მეც მინილადებს ხოლმე!

მდიდარი მომჭირნა, გლახაკი კი მონყალე, იმის ნაცვლად, პირიქით იყოს, გაეფიქრე მე, ამით რაგო მდიდრად მიაჩნდათ და თხოვნით იკლებდნენ, რადგან როცა ადამიანი რამეს გთხოვს, გულთან მიტანილად რომ ჩაგეთვალოს, ჯიბეზეც უნდა გაიკრა ხელი.

— წესით მალე უნდა გამოჩნდეს! — თქვა მისრემ და საათს დახედა.

და მართლაც შორს, სადაც ძლევამოსილი ქარიშხლების გზაზე გამხდარი ხეები უბადრუკ ზღუდვებს ქმნიდნენ, ადამიანთა ჯგუფი დავინახე. რაგო იყო, თავის მადლიერ ამალასთან ერთად. ვინ დასწამა მას ძუნწობა. ეტყობა ვინც ანეგდოტებს თხზავს, ჭორებსაც ის იგონებს. ქალაქში, ჩვენთან რა მოზღუდულად ცხოვრობდა, აქ კი რა ამბებში ყოფილა. ყველანი ერთხმად ემადლურებოდნენ. მის სახელს ისეთი მონივნებით წარმოთქვამდნენ, ბრინჯაოს ძეგლსაც დაუდგამდნენ, გამგეობა ნებართვას თუ გასცემდა. ვაგლახ, დიდი ხნით ნელინადში მხოლოდ ერთხელ სტუმრობდა სოფელს, შევბულება როცა უნევდა. თურმე იმ დღეს დიდ სუფრას შლიდა და მთელ სოფელს პატივებდა, რომელიცაც ლამის იყო, მოძრავი დღესასწაული დაენსებინათ, რაგობა, ანდა სულაც რაიმე სხვა სახელწოდებას მოუფიქრებდნენ. ბავშვები ორთვალა ველოსიპედებით ელოდნენ, რაგო მათ ჩავლისას ხურდა ფულებს ჩუქნიდა, მოხუცები ლოცავდნენ, უბრალო გამგეობის უღიმოდნენ. რაგო არაფერს თაკილობდა. აქ ის ნამდვილი იყო, თუნდაც სხვაგან ყველგან ეთამაშა.

— მამ შენა ხარ? — მომიახლოვდა თუ არა, ხმამალა შესძახა ტავობის გმირთაგმირმა, — ბევრგან მითხრეს, ვილაც გექებოსო!

— მანქანით ვარ, გავიყოლებ-მეთქი!

— ერთი წამით დამიცადე! — თქვა მან და ჯიბიდან რკინის ფული ამოაძვრინა, შესაძლოა უკანასკნელიც კი, მაგრამ თითქოს მზე ამოჩახჩახდაო, მისრეს ისე გაუხანდა სახე.

მერე მანქანში ჩავსხედით და როცა დავიძარიო, ხალხის ყრიაშულიც მიწყდა.

— დავგვწყება ისევ ერთი და იგივე! — ვთქვი მე, როგორმე ლაპარაკი რომ გამოგვსვლოდა.

— განა ერთი და იგივე არ ჯობს? — მიპასუხა რაგომ.

— გინდა თქვა, რომ მოგწონს?

— ყოველ შემთხვევაში, ასე მირჩევნია, ხასიათის გადანყოფა მინც არ მომიწევს!

მის ნათქვამში იდო აზრის მარცვალი, იმ შემთხვევაში, თუ მოვალეობა სასჯელად გექცა, ჯობს, დღის რეჟიმს შეეგუო და შექანიკურად მიყვე.

— მანქანა გყოლია ოდესმე? — მისი მიკროავტობუსის ამბავი გამახსენდა და მოვყოლებ-მეთქი, ვიფიქრე, ცოტა ხასიათზე მოვიდოდით.

— არა! — თქვა მან.

— ნუთუ არასდროს? — გაკვირვებით ავიჩეჩე მხრები.

— საიდან უნდა მყოლოდა? მართვის მონმობაც არა მაქვს!

მერე კიდევ ერთხელ გახედა სოფელს, აი, მივდივართ, გული კი აქ მრჩებაო, თქვა და მთელი გზა ხმა აღარ გაგვიღია.





დათო მალრაძე

დასაწყისი

— დასაწყისს ვეძებ,
თორემ ფინალი,
როგორც ყოველთვის, თავისით მოდის.
მიხაკით, გზაზე მიმოფენილით
და მარმარილოს გათლილი ლოდით.

დაუკითხავად მოვა ფინალი,
არასდროს მიდის,
ის მხოლოდ მოდის,
შეგხედავს, როგორც მთვრალი ფინელი
და არც რამეზე მოიხდის ბოდიშს.

შენ ფილტვები სთქვი, —
სუნთქვა პოეტის...
თუ აიღებ მთვრალ აფრას...
თორემ ფინალში, როგორც ყოველთვის,
სადარბაზოზე დადგება აბრა.

...ახალი წიგნის დასაწყისს ვეძებ,
ფინალი ვიცი, თავისით მოდის,
მივგანებ, შენ თუ მეყოლე შემწედ,
დამდგენი ყველა ეპოქის მოდის.

— ვთქვით, უცხო ქალთან ფლირტი გარისკე,
ერთი იქნება მაინც ფინალი, —
თეთრი საყელო ეზოს მხარისკენ
სარეცხის თოკზე გადაფენილი.

ან მოხიბლულმა სოფლის აურით,
დაცლილი ბოთლის სიკეთით სავსემ,
შევმატო ფერი „უსადაუროს“,
თუ პასტორალი დავინყო ასე:

— ვიდრე მამალი იყივლებს დილით
და ცულის პირი გააპობს შემას,
დედა იკითხავს: — დაბრუნდა შვილი?
მამა იფიქრებს: — აბოლებს ბედმავს...
არადა, სამი წელია უკვე,
მამა რაც ცრემლებს
დედასთან მალავს...
— მგონი, შემეძლო დაწყება უკეთ
და ვუბრუნდები მშობლიურ ქალაქს.

...როგორც არ უნდა დავინყო ლექსი,
რიჟრაჟზე ვეჭვობ, —
შემეძლო უკეთ...
ნესტოებით ვცნობ სიგრილეს 6-ის,
როგორც ფუჟერში შარდონეს ბუკეტს.

პირველი ფრაზის სურნელი მავსებს,
მასშია სულიც და საფანელიც,
ამიტომ ლექსი იწყება ასე:
— დასაწყისს ვეძებ,
თორემ ფინალი...

მდუმარე გრაცია

...ვკითხულობ მაინ რიგს საკლასო ხმაურში, —
მინას რომ ართმევენ განწირულ აპაჩებს,
მერე მეც საკუთარ მინა-წყალს ვაგუშინ-
ნაურდი, როდესაც ვკრძალავდი პაპაჩემს, —
სასახლის ლუზა რომ მინაში ჩავუშვი.

ხმაურში, მინისთვის ატეხილ დავებში,
გადარჩა სტრიქონით გოგონას სინაზე, —
თითი რომ შევახე ლექსის უკვდავებას
სასკოლო დერეფნის დაორთქლილ მინაზე
და ცაში აშვებულ ლუზაზე დავები.

უნივერსიტეტის აუდიტორია...
და როსინანტივით — სალექსო კათედრა —
მიმადრენს, მივწვდები
ვარსკვლავთა ორიონს,
თოვლის ზედაპირზე თუ გადავათეთრე
სანგარში ნაჯღაბნი სტრიქონი ორიოდ.

ვლამობ გადარჩენას სკოლინდელ სარკმელის,
რომ არ ჩამოლენოს მიტინგმა მოედნის,
ქაშუეთში სანთლებზე კანკალებს კანკელი
და ისმის უბრალო
სიტყვები პოეტის,
ძველი სამელნედან ფრთით ამოკენკილი.

— ამასწინ მოგწერე, რომ რადგან არ იზი-
არებს ეს ეპოქა რაციოს ათენის,
ანიშნა ნოტრდამმა დაცემა პარიზის...
ბეთლემის ბაგასთან თუ განყდა სადენი,
რა გვირგვინს დაგვადგამს კვლევა სოლარისის...

იმარჯვებს აქცია, როდესაც ევნები,
ძველ კადრებს ვამჟღავნებ
რის ტანჯვა-წვალებით...
მგზავრობის ხატივით თან ამედევენება
„ნორდოსტში“ დაბოცილ ჩეჩენი ქალების
მკლავების სინაზე და ხელის მტევნები.

როდესაც ევნები,
იმარჯვებს აქცია...
და უფლის შექმნილი ედემში ადამი
როცა სახელმწიფომ მეომრად აქცია,
პოეტმა მეომრის სხეულში ადამი-
ანის გადარჩენის გარითმა სანქცია.

და თუკი მარჯვენამ გაიგო ცაცია
რას სჩადის, ასეთ დროს
ინთება error-ი,
...და პოეტს კვლავ გიჟის ხალათი მაცცია,
რომ გადავარჩინო ამ კვამლში ტერორის
ჩეჩენი ქალების მდუმარე გრაცია.

პორბონთა ლილია

მარმარის ფილაზე პორბონთა ლილია...
— არ ვიცი, თქვენამდე რამდენი მილია...

რამდენი ზღვაა და რამდენი მოლია,
გემბანზე დაღლილი ისვენებს თოლია.
მკლავების სინაზე... ბოკალი თლილია,
მარმარის ფილაზე პორბონთა ლილია...
როგორც მტვრის შლეიფი არქივის ფოლიანტს,
მოჰყვება იალქანს თოლია... თოლია...
— მთავარი რწმენაა, —
ნაპირი მალეა!
თუ სიტყვის მადანი არ გამომელია.
— არ ვიცი, თქვენამდე რამდენი მილია,
თეთრ მარმარილოზე პორბონთა ლილია,
ხან ვფიქრობ, — ლილია,
ხან ვფიქრობ, — ლალია,
რა ბედისწერაა... რა სიალაღია...

ლილია სუნთქვითა შეხების ალია,
ბოკალზე კონტესას პომადის კვალაია,
ლილია ჩამქრალი ჭაღების ალექს
მიჰყვება, ფრესკების რა სიფერმკრთალა...
ან იქნებ რაფაელს მოსწყურდა ძალიან
და მოსვა უბრალოდ,
არა თუ დალია.

შორიდან გავყურებ კარარის კარიერს,
ვფიქრობ, სისადავე რომ უკვე აირიერ-
გარდია, თუ ვცდები და ავანგარდია,
ვაცნობებ „New York
Times“ და „Guardian“-ს,
ვეტყვი, რომ თბილისის ცას დილაადრიან
პორბონთა ლილის სიმშვიდეს ადრიან,

როცა მზის ამოსვლას მხნეობა აკლია,
როდესაც ელვარე ნათება, — ნაკლია!
როდესაც გულგრილად ტურისტი დაქლია-
ვებული ჩაუვლის
ცაფირონს მადლიანს.

იქ, სადაც რწმენაა, არა თუ კანკელი,
ოსტატის წინაშე მოლბერტიც კანკელობს,
ბიბინებს ტოსკანას ყანა მოსამკელი,
ფირენცემ ლილის ჰპოვა სამკაული,
ოსტატმა ინამა უფლის სასწაულის, —
თითის ანაბეჭდი აულო ანგელოზს.

ლილია ხმოვანი, უენო ზარია,
ან იქნებ, მოჭიქულ ლარნაკის ბზარია,
ზარია,
ბზარია,
შეცნობის ზღვარია,
როცა იმპერიამ სთქვა კედლის არია,
ამ ფერის სამოსი შეჰბედა მარიამს.

— არ ვიცი, თქვენამდე რამდენი მილია,
თუ სიტყვის მადანი არ გამომელია...

ბავი

ჩემს ბეატრიჩეს შევარქვი ბეტი,
როცა წვიმაში გაშალა ქოლგა,
წვიმა იქნება წვიმაზე მეტი,
სენიორა ქოლგით
გუმბათს თუ მოჰგავს.

ვეხმინები მწუხარე დანტეს,
სურნელი მწვდება ტოსკანის ბალის
და მთვარის შუქში მოყოლილ ფანტელს
ნათება ახლავს სასახლის ქალის.

ქოლგის ჩირაღდანს შევხარი, — ამინ!
ფეხქვეშ იშლება ამურის რუკა,
ჩემს ლამაზ ბეტის,
ანუ Batwoman-ს,
როგორც Batman-ი მიყვები უკან.

მკითხველი პოეტს სმენას უფასებს,
თუ აკორდს შორით იცნობს, გუმანით, —
წვიმა ასრულებს ქოლგის გუმბათზე
Solo Piano-ს რობერტ შუმანის.

მადლიან პირჯვარს ვაგზავნი ცაში
და ლექსის სხეულს ჩავუდგამ დვრიტას,
...და პოეზიაც იწყება მამინ,
როცა სიტყვაზე
მეტია სიტყვა.

დეკორაცია სპექტაკლისათვის

სუსტი სინათლე. მაგიდა. სკამი.
კედელზე ფოტო მაილს დევისის.
ჭიქაში ვისკი, ასიოდ გრამი.
ვაშლი, — ცდუნების
ძველი დევიზი.

და პერსონაჟი სცენაზე სამი,
გოგო და მასთან ორი ჭაბუკი.
სამკუთხა ვნების იელვებს წამი,
ნიღბებს გვათხოვებს
თუ კი კაბუკი.

...და მერე ქალი სამკუთხედს დაშლის
და ეს იქნება ფინალი დრამის, —
ერთ-ერთს მოუწევს გაკბევა ვაშლის,
მეორეს, —
შველა ასიოდ გრამით.

რეჩიტატივი აკომაანამენტის ბარაბა

აჩრდილი დადის ევროპაში,
პოეზიის აჩრდილი დადის, —
მოქალაქეში ადამიანის
გადასარჩენად.

აჩრდილი დადის ევროპაში,
პოეზიის აჩრდილი დადის, —
დემოკრატია რომ გამოსძალოს
თავისუფლება,
რომ სამშობლოდ იქცეს ქვეყანა,
მაკულატურას გამოსტაცოს ერთი სტრიქონი
და ღვინის წვეთი გამოწუროს
ფალსიფიკატის ლამაზ ბოთლიდან.

აჩრდილი დადის ევროპაში...
— უხერხულია, — ეს ის სიტყვაა,
სასულეში რომ გადასცდა
ჩვენს ეპოქას და ველარაფრით ამოახველა.

— უხერხულია, — ეს სიტყვა გახდა
კართაგენი და გადაიქცა
წარმატებულთა
მთავარ სამიზნედ.

ეს სიტყვა უნდა დაისაჯოს,
როგორც ზედმეტი, დიდ მოედანზე,
სადაც მედიას შეექმნება
ყველა პირობა, რომ გააშუქოს,
ღირსებას როგორ ეთხოვება
ჩვენი ეპოქა.

აჩრდილი დადის ევროპაში,
პოეზიის აჩრდილი დადის...

ფლორენციაში, სენიორიის მოედანზე
განავალის სკულპტურა დადგეს, —
აღორძინება უკანალში გაიკეთეთო!..
შეუძლებელი გახდა სუნთქვა,
მერე კი ბუზი დაეხვია
და გაიტანეს.

აჩრდილი დადის ევროპაში.

ევროპა დადის არჩვენებზე,
როგორც მესაზე,
რომ საარჩევნო ბიულეტენში
შემოხაზოს ისევე ბარაბა
და განსაცდელში თავი ისევე
ქრისტეს ავედროს.

პოეტის მრევლი, — სოფლის მარილი,
მოსახლეობის მიზერული ალბათ ნაწილი,
განსაცდელის დროს ვინც ღირსებას
შეინარჩუნებს.

პოეტის მრევლი, — „უხერხულია“
ერთადერთი ჭირისუფალი.

რადგან მისია პოეზიის — გადარჩენაა,
არა ნევროზის გაზიარება
დანარჩენთათვის,
პოეტი დგება უღმერთობის
მთავარ სამიზნედ:

— მოგვხედეთ, ხალხო! —
თუნდ ტაძარი აგიგიათო...
— ესლა აღმოხდა მოკლულ ილია
ჭაჭაყავაძის დაჭრილ მეუღლეს.

— შენ უნდა მოკვდე,
რომ შენს ახლოს
გაძვირდეს მიწა!

...როგორც სხვაგან,
ჩვენშიც ასეა:
— ნუხს მშობლიური ლიტერატურა!
— ქუხს მშობლიური მაკულატურა!

— ჩამორჩენილი არ გეგონოოთ!..
განწირული ძახილი ისმის,
საქართველოში გოიმობა
უფრო აშინებთ, ვიდრე სიკვდილი.

ქართველიც დადის ევროპაში,
თუმც აჩრდილისგან განსხვავებით
ცდილობს გაერკვეს,
რას დაეძებს, რა დაეკარგა.
ვიდრე გაარკვეს, ევროპაში ვის დაეკარგა.

ერთხელ სულთანმა გააშიშვლა იატაკიანი
და ბიზანტია მოათალა
მძინარ ევროპას.
სისხლი განმინდა და სტამბოლის
ცაზე დაჰკიდა მთვარის სანაცვლოდ.

მას შემდეგ, სადაც
ჩამოსცვივა კედელს ბათქაში,
ევროპელ ტურისტს შემოსცინებს
ბიზანტიონი, როგორც მამა
დაბრუნებულ ძეს.

ასეა ლექსიც, ქართული ლექსი, —
სადაც ჩაქრება
დაშაქრული აღმოსავლეთი,
იქ სისადავის სიდიადე გამოანათებს.

...კედლის საათზე XIX საუკუნეა,
მაჯის ტისოტზე 1919 წლის
ნომბრის 6,
ინერება ახალი ლექსი...
კალმის წვერმა კი ზუსტად იცის,
რომ ორივე საათი ტყუის.
სამყარო დროში გაიჭედა,
პოეტში კი დრო მოგზაურობს.

და დრო, საათის
ისრების ნაცვლად,
ქორის ფრთებისთვის
მაქვს მინდობილი.

დრო მოგზაურობს პოეტის ხმაში,
როგორც კოლუმბი, —
მოქალაქეში დავინწყებული
ადამიანის აღმოსაჩენად.

— Let my people, go...
ეს სიტყვები
შენ უნდა უთხრა
მოხუც ფარაონს.

კარაიანმა ხელთ იგდო ჯოხი,
რომლითაც წყალი გააპო მოსემ.

არგონავტები მოადგნენ კოლხეთს,
დედაქალაქში არჩვენებია,
დამკვირვებლები იაზონის მეთაურობით
ხმებს დაითვლიან,
პატრიოტებმა გადამალეს ოქროს სანმისი,
შარავანდები მიახატეს ბელადის ფოტოს
და ცის გახსნას ელოდებიან.

მამის სახლში კი
ძველებურად ვაჭრები სხედან.
— ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის ფულისკეთება...

...ადამიანში სახელმწიფო კრიმინალს ეძებს,
პოეზია კი კრიმინალში ადამის სახეს.

აჩრდილი დადის პოეზიის,
მტვრიან თაროზე
საპატიო ადგილს იკავებს,
— ვინ ეცდება მის გარდამოხსნას?..

აჩრდილი დადის პოეზიის,
აჩრდილი დადის,
აღმოსავლეთით მზე ამოდის,
დასავლეთ ჩადის,
დრო მოგზაურობს სტროფებს შორის,
გამოდის, გადის,
მთელი სამყარო მიჯდომია
საქმიან სადილს,
მხოლოდ პოეტი ვერ ეშვება
განწირულ წადილს
და დადის... დადის...
პოეზიის აჩრდილი დადის.





უკანასკნელი მომონება

ვუძღვნი რ. ქ-ს

მრავალი წლის შემდეგ, სიკვდილის წინაშე მდგარი, ვფიქრობ იმ უჩვეულო საღამოზე, რომლის მოგონება წინათ მტანჯველ სევდას მგვრიდა, ახლა კი ბედნიერებით მავსებს. ის დღე ერთადერთია, მიმქრალი სანთელივით ოდნავ რომ ანათებს და აფერადებს ჩემი ცხოვრების ნაცრისფერ დღეებს. ერთდროულად მწუხარებისა და სიხარულის ისეთი მძაფრი გრძობა მეტად აღარასოდეს განმიცდია, სწორედ ამიტომაც ძვირფასი ის სიცოცხლით სავსე რამდენიმე საათი ჩემთვის. თუმცა ამას გვიან მივხვდი! ცხოვრებაში ზოგჯერ არის წუთები, როცა ერთმანეთში იმდენადაა შერწყმულ-შედუღებული ავი და კარგი, ტკბილი და მწარე, შხამი და ნექტარი, რომ ბედნიერება უბედურებად ეჩვენება კაცს. მაგრამ დროს ერთი დიდებული თვისება აქვს — ის არამხოლოდ აყუჩებს სულიერ ტკივილს, არამედ რაღაც ნაირად ამსუბუქებს და სასიამოვნოსაც კი ხდის. ამიტომაც, რომ ყველაზე უსიამოვნო ამბავიც საამო მოგონებად იქცევა ხოლმე. მეც ასე დამემართა...

რესტორანში ჩემი ძმის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. ხალხმრავალ სუფრაზე ყოველთვის მოწყენილობა მიპყრობს. ლხინი ნებისმიერი ადამიანის თვალში არარად იქცევა, თუ არ იცეკვა, იმღერა, იხუმრა და საკუთარი აზრი თანამეინახეებს არ გაუზიარა, მე კი არც მეტყველება შემიძლია და არც დამოუკიდებლად გადაადგილება.

იმ საღამოსაც თანდათანობით დამეუფლა მოწყენილობის განცდა. დრო რომ როგორმე გამეყვანა, თვალი მოვაველე დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. უეცრად შევნიშნე საოცრად ლამაზი ქალი, რომელიც მოპირდაპირე მაგიდასთან იჯდა. ასე, ოცდათხუთმეტოცდათექვსმეტი წლისა იქნებოდა. აბრეშუმით ნაზი და მზინვარე ქვიშისფერი თმა ზურგს უკან ტალღებად ეშვებოდა. ნაწნამთა ჩრდილქვეშ ულამაზესი მწვანე თვალები განაბულიყო. ამომავალ მზესავით მშვენიერი, თბილი ღიმილი გადაურბენდა ხოლმე ტუჩებზე და მთელ სახეს უცისკროვნებდა. თვალს ვერ ვაშორებდი მომხიბლავ ქმნილებას და ვგრძნობდი, თანდათან როგორ იპყრობდა ჩემს სულს განუმეორებელი სილამაზით.

მათ მაგიდას წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა და ქალი საცეკვაოდ გაიწვია. მან ჯერ უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ ბიჭი რომ აღარ მოეშვა, წამოდგა, ხელები გაშალა და გედვიით გაცურდა პრიალა, ყავისფერ იატაკზე. ვაჟი მარცხენა მხრიდან „სრიალა სვლით“ კვალდაკვალ მიჰყვებოდა, მაგრამ თან ფრთხილობდა — არ შეხებოდა ქალის გრძელ საღამოს კაბას, რომელიც მალალ, მოხდენილ ტანს უმშვენიერებდა. ცდილობდა, წინ გადადებოდა და სულის დამატყვევებელ თვალებში ჩახედა. თავს ეკლებოდა, თვალს წამითაც არ აცილებდა, თითქოს მის გარდა ამქვეყნად არავინ იყო. ვაჟით მოხიბლული ქალი დროდადრო აჯილდოვებდა მას თავისი შუქმფენი ღიმილით. ატლანტიკით სრიალა, ნაზ ლანვებს მერთალი ვარდისფერი შეჰპაროდა. ოფლის წვრილი წვეთებით დაცვაროდა ღია ხორბლისფერი სახე. ვუყურებდი მათ და სუნთქვა მეკვროდა, გული გამალებით მიცემდა, მთელი სხეული ზამბარასავით დამჭიმოდა, თითქოს მეც მათთან ერთად ვროკავდი.

ცეკვა რომ დასრულდა, ის ქალი რატომღაც ჩვენი მაგიდისკენ წამოვიდა, ჩემს ზურგს უკან უნდა ჩაეველო. საშინლად მომიწონდა, გამოვლავარაკებოდი, ნახევრად შევბრუნდი ჩემი ეტლით და პირი გავადე, მაგრამ იქიდან მხოლოდ ხორბლისფერი გაუგებარი ბგერები აღმომხდა, ყველამ ჩემკენ მოიხედა, ძალიან შემრცხვა, თავი ჩავლუნე... იმ წამს სულ გადამაინყდა, რომ მეტყველება არ შემიძლო, მე ხომ რიყის ქვასავით უტყვი და უძრავი ვარ. მან ალბათ კარგად გაიგონა ჩემი „ხარბრმისებრი ძახილის“ ხმა, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ არაფერი შეიმჩნია და ისე განაგრძო გზა, თითქოს ეს უცნაური ხმები არც კი გაუგონია.

კარგა ხნის შემდეგ ავნიე თავი და თავალი გავაპარე იმ ქალის მაგიდისკენ. მან

ჩემი მხერა დაიჭირა, იგრძნო, როგორი ალტაცებითა და გაცებით ვუცქერდი. ოდნავი სევდა ჩაუდგა ზურმუხტისფერ თვალბუბოში და სიბრაღულით გამიღიმა. მისი სილამაზის ჭვრეტით მოგვრილი სიამოვნება პეშვში დაგროვილი წყალივით სწრაფად დაინრიტა და დამრჩა მხოლოდ სულის გამყინავი ამოების განცდა. განა არ ვიცოდი, იმ მშვენიერ უცნობ ქალს, სიბრაღულის გარდა არანაირი სხვა გრძობა არ შეიძლებოდა გაჩენოდა ჩემს მიმართ, მაგრამ მაინც საშინელი ტკივილი ვიგრძენი... თვალი დავხუჭე, ველარ შევძელი იმისი სიბრაღულით სავსე ღიმილის ატანა. თუმცა, მეორე მხრივ, იმ ქალის ასეთი რეაქცია სულაც არ იყო უჩვეულო და მოულოდნელი, მანამდეც შემიძინებია მსგავსი გამომეტყველება ქუჩაში შემხვედრთა სახეებზე. როდესაც ეს გავაცნობიერე, გადავწყვიტე, მეც ღიმილითვე მეპასუხა მისთვის. მაგრამ თვალი რომ გავახიდე, ის ქალი აღარსად ჩანდა, ლამაზ ზმანებასავით გამქრალიყო...



გიორგი მგალობლიშვილი

მთვარის დედოფალი

ღამის სიგრილის წყალობით ზაფხულის სიცხისაგან დაოსებული ადამიანები ძილად მივარდნილიყვნენ. სრული მდუმარება გამეფებულიყო მთელ სოფელში, მხოლოდ ღამის ჭრიჭინების ჭრიჭინი აყრუებდა არემარეს. ბადრი მთვარე ამოსულიყო, გადაეყარა ღრუბლები, თითქოს ეს ღრუბლები ხელს უშლიდნენ მისი სილამაზის სრულად აღქმას. მთვარესაც ჰყავს თავისი დედოფალი, რომელიც თეთრ-ლურჯ სადღეღოფლო კაბაში გამონწყობილი დაბრძანებულია მთვარის ტახტზე. ის ზვიადი და ცივია, მაგრამ მაინც სიყვარულს ესწრაფის. მთვარის დედოფალი მუდამ სატრფოს მაძიებელია, თუმცა ამოდ, მისი სამფლობელო ხომ უკაცრიელია. ამიტომაც აგზავნის ღამდამობით მთვარის დედოფალი თავის ვერცხლისფერ სხივებს დედამინისაკენ, რათა ადამიანებმა შეიყვარონ იგი.

მზის პირველი სხივები ისე ელაცდებოდა ჩემს დახუჭულ თვალებს, რომ თითქოს სურდა, გავეღვიძებინე და მეხილა განთიადის მთელი სიმშვენიერე. აღმოსავლეთით ცას ცეცხლი ნაჰკიდებოდა, დასავლეთით კი ცისფერ უკიდევანო ოკეანეში ღრუბელთა თეთრი კუნძულები გაფანტულიყო. ცეცხლოვანი ბურთი უფრო და უფრო ძალუქვდა მაჭყეტდა თვალბუბოში თავის ცხოველმყოფელ სხივებს. ჩიტების გაბმულმა ჭიკჭიკმა სულ მთლად გამომაფხიზლა. წამოვჯექი ხის ძველთაძველი აივნის იატაკზე დაგებულ ლიბზე და ნამძინარევი თვალბუბო მოვიფხვნიტე. იქვე იწვა ჩემი მეგობარი, რომელმაც გუშინ საღამოს ჩამიყვანა თავისთან

სოფელში. აივანზე გამოსასვლელი კარი ჭრილით გაიღო და გამოვიდა თხუთმეტოდე წლის გოგონა, რომელსაც მოკლე ჩითის კაბა ეცვა: კუპრივით შავი თმა ჩანჩქერივით გადმოჩქეფდა ბრინჯაოსფერ ზურგზე, წამწამთა ჩრდილში ორი შავი მუგუზალი კიაფობდა, სახე შავ ვარდს მიუგავდა, შველივით ყელი ისე მოელერებინა, რომ კოცნა მოვინდებოდათ, პატარა, მაგრამ მკრივი ძუძუების ლანდები იკვეთებოდა თხელ კაბაში, რომლებიც ახლად აკოკრებული ვარდის კოკრებივით უღვიოდნენ, შოლტებივით სწორი და გრძელი ფეხები ჰქონდა, რომლებიც სიარულის დროს არც კი ეხებოდნენ იატაკს, მზის სხივები ეთამაშებოდა მის ღვედვილ მოქნილ სხეულს. გაცობული მივშტერებოდი ამ თითქმის შიშველ ანგელოზს, რომელიც წამით შედგა და თავისი ცეცხლოვანი თვალები შემომანათა, შემდეგ კი სხეულის ნარნარი რხევით ჩავიდა კიბეზე.

გაოგნებული ვიყავი მისი პირველყოფილი სილამაზით და ბუნების ამ უმშვე-

ნერესი ქმნილების კიდევ ერთხელ ხილვის დაუძლეველმა სურვილმა შემიპყრო. წამის უსწრაფესად ტანთ ჩავიცვი და კიბე ჩავირბინე. ეზოში ვარდების თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა. მწვანე მონი აღმოსავლური ხალიჩასავით იყო მოქარგული მინდვრის ნაირ-ნაირი ყვავილებით, რომლებზეც დაფარფატებდნენ ჭრელ-ჭრელი პეკლები. თვითმკვლევობის ჭინით შეპყრობილი ცვარი ხტებოდა ბალახის წვერიდან. თვალი მოვკარი ქვაბით ხელში ბოსელში შემავალ გოგონას. ფეხაკრეფით მივიპარე გომურის კართან და შიგ შევიხედე. გოგონა იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე და ჯიქანს ბანდა ძროხას. თმის შავი ფარდა უფარავდა სახეს, რომელიც ყორნის ფრთასავით უზბინავდა მზის უმცირეს სხივზეც. თეთრი, ქათამთა ნაჭრით გაუმშრალა ძუძუები ძროხას, შემდეგ შეუდგა ქვაბი და დაიწყო წველა თავისი გრძელი, თლილი თითებით. უეცრად გამოიხედა და მე რომ დამინახა, თვალები წყრომით ავესო, თითქოს შეურაცხყოფილი დარჩა, მის უბადლო სილამაზეს უჩუმრად რომ ვუჭვებდით. საავდროდ გამზადებული ღრუბლებივით შეპყარა თავისი გრძელი და წვრილი ნარბები, წამიც და ღვთიური რისხვა დამატყვებოდა თავს, თუმცა უმაღლე გაუპო ალისფერი ბაგე ბავშვურმა ღიმილით.

ხომ არაფერი გჭირდებოდა, ასე დილაადრიან რომ წამომდგახართ? — მკითხა გოგონამ აღურსიანი ხმით. — გმადლობთ, არა. უბრალოდ, ასეთ მშვენიერ დილას ნოლა და ძილი არ შეიძლება. გინახავთ მთვარის სიკვდილი და მზის ხელახლა დაბადება? — ვკითხე გოგონას. — ამ დილითაც ჰქონდათ პაემანი მთვარეს და მზეს, მაგრამ მხოლოდ წაშლით, შემდეგ კი მთვარე მიიცივალა მზის სხივებში, — მომიგო თვალბუბოვანი გოგონამ. ძროხის წველას რომ მორჩა, გარეთ გამოვიდა. ხელში რძიანი ქვაბი ეჭირა, რომელშიც თბილი რძე ქაფქაფებდა. — ჰო, მართლა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მე დავივით მქვია, — წარვუდგინე თავი და ხელი გავუწოდე. — მე კი მარეხი, — მიპასუხა გოგონამ და რძის წვეთებით დათრთვილი ბრინჯაოსფერი ხელი ჩამომართვა. — რატომ ვერ მოგკარით თვალი გუშინ საღამოს? — ვკითხე ოდნავ დარცხვენით თანამოსაუბრეს. — გუშინ მეზობელს ვეხმარებოდი თხილის დარჩევამი. შუალამეზე დავბრუნდი შინ და ფეხაკრეფით ამოვიპარე აივანზე, თქვენ და გივის უკვე გეძინათ, — მომიგო მარეხმა და თვალები მორცხვად დახარა. — მოდი, თავი გავანებოთ თქვენობით საუბარს, — ვუთხარი მარეხს, რომელსაც გიშრისფერი თვალები ზებუნებრივად გასხივონებოდა, — რამდენადაც მახსოვს, გივის არასოდეს უხსენებია შენი სახელი. — შენს შესახებ კი ბევრს მიაბობდა, — ბავშვური გულუბრყვილობით თქვა მარეხმა და გადაიკისკისა. განცვიფრებული შევცქეროდი ამ მოკისკისე ნაკადულს. უეცრად სევდამ დაუფარა სახე. უკუნი ღამესავით შავი, უძირო თვალები კაეშანმა მოიცვა, — მე ობოლი ვარ, მშობლები გარდაცვალების შემდეგ გივის ბებიამ შემიფარა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, არ მეგრძნო ობლობის სიმწარე. არასოდეს გავურჩევია თავისი შვილიშვილებისაგან, პირიქით უფრო მანებებოდა. ღვთისნიერი ქალა ბებია თეკლე, დედასავით მიყვარს. მე ახლა უნდა წავიდე, ნახვამდის. გივის გამოღვიძებისთანავე კურდღელზე სანადიროდ წავედით. ფოთლების ჭრელი ხალიჩა მთელ ტყეში მოფენილიყო. ცად აზიდულიყვნენ მზის სხივებს დანატრებული ხეები, რომლებიც მწვანე ფოთლებს საუცხოოდ შეემოსათ. გველივით დაკლანილ ფესვებს ხავსი მოდებოდა. სულ უფრო და უფრო ღრმად შევდიოდით ტყეში, მაგრამ კურდღლის კვალაც არსად ჩანდა. უცებ ბროლიამ ყურები ცქვიტა და შურდულივით გაქანდა ბურქნარისაკენ, საიდანაც ორი დიდი თეთრი კურდღელი გამოვარდა. იჭექა ჩვენმა თოფებმა და ორივე კურდღელი უსულოდ დაეცა ძირს. მთელი დღე ვიხეტივით ტყე-ღრეში და კიდევ რამდენიმე კურდღელი მოვკალით. სისხლისფერი მზე ზეცის უკიდევანო სარეცელზე სულთმობრძავით იწვა და თანდათანობით ქრებოდა მისი ლამაზი სიცოცხლე. ცეცხლოვანი ბურთი დასალიერისაკენ მიექანებოდა და გზას უთმობდა წყვილის მზეს — მთვარეს, რომელიც ჯერ კიდევ არ ამოცურებულიყო ცის კაბადონზე. ბუნებას თვალი მიეღულა და ღრმა ძილის მოლოდინში თვლემდა. თალხისფერი ბინდი ჯერ კიდევ არ იყო ჩამონოლილი, როცა შინ დავბრუნდით. მარეხი და ბებია თეკლე ჭიშკართან შემოგვეგებნენ, ჩამოგვართვეს ნანადირევი და სახლში შეგვიტყველეს. მარეხი საოცრი მოხდენილი და მსუბუქი მოძრაობებით შლიდა სუფრას აივნის ქვეშ. გივის ბაბუა თამადად დადგა, რომელმაც პირველად ჩვენი ბედუკუღმართი ქვეყნის სადღეგრძელო თქვა: — გული მენურება, როდესაც საქართველოს ისტორიას ვკითხულობ. ღამის ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობ ყოველი ნაგებული ბრძოლის, ყოველი გოჯი დაკარგული მიწის გამო, — დაიწყო ბაბუა როსტომმა, — ცოცხალ არსებასავით მეზრალეა ეს პანია საქართველო. ახლა კი მე მიწა, შევსება შარმან რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გმირების შესანდობარია. — ღმერთმა ნათელში ამყოფოს იმათი სული, ვინც სამშობლოსათვის თავი გასწირა. ძველებურად ბრძოლა აღარ შეგვიძლია, — კბილებში გამოცრა გვიმ, — ორასწლოვანმა ბატონობამ ჩაკლა ქართული სამხედრო გენია. — მათი სახელი მარად დაუფინყარი იქნება, სანამ იარსებს ქართველი ერი, — ვთქვი და შევსვი შედეგებული სისხლივით ბლანტე ნითელი ღვინო, — არც ერთ დამპყრობელს ისე არ გაუცამტყვერებია



საქართველოში სამხედრო საქმე, როგორც რუსეთს, მაგრამ ამის გამოსწორება შესაძლებელია. ბრძოლა ხომ გამოცდილებაა, საბრძოლო გამოცდილება კი მრავალ ნაგებულ და მოგებულ ბრძოლას მოაქვს თან, მუდმივი ბრძოლა კი ან სრულიად გაანადგურებს ერს, ანდა უსაზღვროდ გააძლიერებს და მარადიულ სიცოცხლეს შეძენს მას.

უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო, როცა მოვრჩით ჩვენი ქვეყნის ჭირვარამზე საუბარს. გულზე სევდა შემოწოლილები შევცქეროდით მარებს, რომელიც ნელ-ნელა ალაგებდა სუფრას. ჯანლ-ისფერ ღრუბელითა შორის ამოცურდა სავესე მთვარე, რომელიც ვერცხლისფერი სხივებით ეალერსებოდა ჩემს დაღლილ სხეულს. როდესაც დასაძინებლად ავდიოდი მეორე სართულზე, ყური მოვკარი მარების ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს: „თეკლე ბებო, ამაღამ „ხოჭოჭინასში“ უნდა ვიბანაო“. გვიმ ბალიშზე თავი დადო თუ არა, მაშინვე ჩაეძინა. მე კი იმ უღმერთოს სიტყვებმა ძილი გამიკრთო, დაღლილობა სადღაც გაქრა.

ეზოს ბოლოს კამკამა წყარო ჩამოდიოდა, რომელიც ქვის სარკესავით პრიალა და სწორ კალაპოტში მიედინებოდა. ალბათ ამ ადგილებისთვის ოდესღაც ლავას გადაუვლია, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ამ დანის პირივით სწორ ზედაპირზე ალაგ-ალაგ პატარა ქვევრებით ჩაღრმავებები გაუკეთებია ბუნების ჯადოსნურ ხელს. ერთი მათგანი საკმაოდ დიდი მოცულობისა იყო, რომელსაც მარები „ხოჭოჭინას“ ეძახდა. ეს ქვაბული მშვენიერ საბანაო აუზს ქმნიდა, სადაც ზაფხულობით სიცხისაგან გათანგული მარები გრილდებოდა. იქვე ერთი დიდი მუხის ხე იდგა, რომელზეც კატასავით სწრაფად და უხმაუროდ ავძვერი, მოხერხებულად მოვიკალათე ერთ დიდ ტოტზე, რომელიც დაჰყურებდა წყაროს თავზე. ჩირაღდანით ანთებული მთვარე ისე ძალუმად დანათობდა წყაროდან გამომავალ ნაკადულს, რომ მის ღარივით სწორ ფსკერზე კენჭსაც კი შეამჩნევდით. მოუთმენლობისაგან გული მეღეოდა, თუმცა დიდხანს ლოდინი არ მომიწია. აი, ისინიც გამოჩნდნენ. გული საგულეს აღარ მქონდა. ღვთისმშობელივით ლამაზი მარები წინ მოდიოდა, ბებია თეკლე კი უკან მოჰყვებოდა. სწორედ იმ დროს, როდესაც კაბა უნდა გაეხადა, მთვარე კუპრისფერ ღრუბლებში გაუჩინარდა, სრული წყვილი ჩამოწვა. ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ წყლის ჩხრიალის ხმა მესმოდა, რომელიც მის ღვთაებრივ სხეულს ეალერსებოდა. ვწყვეტიდი მთვარეს ამ სასტიკი ოინისათვის. და მინც რატომ მომექცა მთვარე ასე უღმობლად?! იქნებ მთვარის დედოფალი ქალურმა ეჭვიანობამ შეიპყრო და ამიტომაც ჩამოიფარა ღრუბელთა შავი ფარდა, რომ არ მეხილა შიშველი მარების მშვენიერება?! წყვილი მზემ ისევე რომ გამოანათა მოქუფრული ღრუბლებიდან, მარებს უკვე ეცვა თეთრი საღამური პერანგი და სველ თმას ივარცხნიდა, რომელიც ბზინავდა მთვარის მკრთალ შუქზე.

სუნთქვაშეკრული დავეყურებდი ბუნების ამ უღამაზეს შავ მარგალიტს, რომელიც ანდამატივით მიზიდავდა და მიხმობდა. მწარე სინანულით ვაცქქეროდი სახლისაკენ მიმავალ მარებსა და ბებია თეკლეს. ნუთუ ეს მხოლოდ ვნებაა, წადილია მისი დაუფლებიანა?! არა, არა, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, ასე ძალუმად აგ-იძგეროს გული და დაგატკბოს შენი საყვარელი ქალის მშვენიერების ჭკრეტი.

ძლივძლივობით ჩამოვფორთხდი მუხის ხიდან. საკუთარ თავზე მეცინებოდა, მე ხომ ყმანვილი აღარ ვიყავი, რომელსაც კიდევ ეპატიებოდა ამგვარი საქციელი. უამრავი ლამაზი ქალის გულთამპყრობელი ვყოფილვარ, მაგრამ არც ერთ მათგანს ისე არ აუფორიაქებია ჩემი ბოპოქარი სული, როგორც ამ პანია ველურ მინდვრის ყვავილს. დაღლილ-დაქაცული სახლისაკენ მივლასასებდი, უცებ შევნიშნე კიბეზე ფეხაკრეფით ჩამომავალი მარები, რომელიც ისე ფრთხილად ადგამდა თავის ნაქანდაკარ ფეხებს მთვარის შუქით განათებულ საფეხურებს, რომ თითქოს ბებია თეკლეს გამოეპარა და ახლა კი ყოველი გაფაჩუნებისა ეშინიაო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მის მზერაში ნაზი და უთქმელი გრძნობა გამოსჭვიოდა, რომელიც გულს მიდაღავდა. სულ უფრო და

უფრო ვუახლოვდებოდი მარებს, უკვე მის სუნთქვასაც ვგრძნობდი, ის კი გაუნძრევლად იდგა და მთელი სხეულით ცახცახებდა. მარგალიტით ბრწყინავ ცრემლებს დაეთრთვილა მთვარის შუქით განათებული სახე.

— შენ ხვალ მიდიხარ, არა? — ათრთოლებული ხმით მკითხა მარეხმა. სუნთქვაშეკრული შევეყურებდი ერთმანეთს და უსიტყვოდაც ვხვდებოდით, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე აღარ შეგვეძლო.

— ჰო, მაგრამ შენ ნუ იდარდებ, მალე ჩამოვალ, — ვუთხარი დილის ნამივით მშვენიერ გოგოს, რომელსაც ცრემლებისაგან მთლად დანისლოდა თვალები. ხელი მოვხვიე წერწეტ ნელზე და ზემოთ ავედი.

სწორედ იმ დროს გამომეღვიძა, როდესაც მთვარე და მზე ერთმანეთს უნდა შეჰყროდნენ. აივნის ხის იატაკზე დაგებულ ფუმფულა მატყლის ლეიბზე ვინქი, ჩემს გვერდით იწვა გივი და ტკბილად ეძინა. მზის სხივებმა შთანთქეს მთვარე. თვალ-

ვითარებული, რომ თვით ღვთაებრივ აპოლონსაც შეშურდებდა.

ტაატით მიმავალ ქალ-ვაჟს გულზე თაღისფერი სევდა აწევს, რადგან სულ რამდენიმე საათში ნიცა სამი წლით უნდა გაემზავროს ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად. ეს მათი ერთად ყოფნის უკანასკნელი ღამეა, რომელიც წინ უძღვის განშორების უსასრულო დღეებსა და ღამეებს. გოგონას ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს გადასახლებაში მიდიოდეს. არადა, მშვენივრად იცის, რომ მსოფლიოში ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში მიფრინავს ხვალ, თუმცა გული და გონება მაინც სხვადასხვა ჰანგზე მღერის. ნიცამ სახლიდან გასვლისას ტყუილი უთხრა დედას, ვითომ ამაღამ მის მეგობარ ეკასთან დარჩებოდა. სინამდვილეში კი ვაჟთან შესახვედრად გაიქცა, რათა წასვლამდე დარჩენილი დრო ერთად გაეტარებინათ.

მქრქალმა მთვარემ კეკლუცი ქალივით ჩამოიფარა ღრუბელთა მუქი ლურჯი რიდე. ცაზე აქა-იქ ჩანს ფოსფორისფერი ვარსკვლავები. ცელქმა სიომ ააშრილა



წინ მედგა მარების ცრემლით დანამული სახე. დღემ სძლია ღამეს, ბუნება ნელ-ნელა იღვიძებდა. ახლად დაბადებულმა ჯერ კიდევ სისხლისფერმა დილამ იმის უსაზღვრო იმედი ჩამისახა გულში, რომ მე და მარები უსათუოდ ერთად ვიქნებოდით...

პარდისფერი ღამე

ვუძღვნი ნ. ბ-ს

სამქტამბრის თბილი საღამოა. ღამეს ჯერ მთლად არ გაუხვევია თავის ყორნისფერ ფრთებში ქალაქი. ქალის სახიანმა სავესე მთვარემ მკრთალად გამოანათა. არემარე თანდათანობით მიწველებულ ნაკვერჩხალს ემსგავსება. ლამპიონებით განათებულ ქუჩაში უღამაზესი წყვილი ნელა მისეირნობს. ვაჟს ხელი მოუხვევია გოგონას წერწეტ ნელზე. მათ ძალზე ნაღვლიანი სახეები აქვთ. ნიცა ოცდაერთი-ოცდაორი წლის იქნება. მოკლე, ხასხასა ვარდისფერი კაბა აცვია. ოქროსფერი, ტალღოვანი თმები ჩამოშლია ხორბლისფერ ზურგზე. მაღალი შუბლის ქვემოთ განთავსებული წვერი და ღარივით სწორი ნარბები. საოცრად ლამაზი ყავისფერი თვალები ცრემლებითაა დანისლული და სისხლივით წითელი ტუჩები ოდნავ უთრთის. კენარ ტანს ნარნარად მიარხევს და ჯეირანივით გრძელ, ჩამოქნილ ფეხებს მსუბუქად ადგამს ქვაფენილზე. გიორგის თეთრი პერანგი და შავი მარვალი აცვია. ასე, ოცდახუთ წლამდე უნდა იყოს. შუბლზე ჩამოყრილ შავ თმებს ნიაკი ნაზად უფრიალებს. გაპარსული, კალმით ნახატი სახე ქართულ ფრესკას მიუგავს. საამო სანახავია მისი მაღალი, წელწერილი, მხარბეჭიანი ტანი. კუნთმაგარი სხეული ისე ჰარმონიულადაა გან-

ხეთა კენწერობი. გოგო და ბიჭი მიხვეულ-მოხვეული გზებით მიდიან. ხან ერთ ქუჩაზე ამოყოფენ თავს, ხან — მეორეზე. ბოლოს ერთ-ერთ მყუდრო ჩიხში უხვევენ და დიდი, ლამაზი სახლის წინ ჩერდებიან, რომელიც სრულ სიბნელესა და მდუმარებაში ჩაიბრუნა. ფანჯრებში მხოლოდ თეთრი ფარდების ლანდები მოჩანს. ჰოლისმაგვარ ოთახში შედიან, შიდა კიბეს სწრაფად აირბენ და ვაჟის საძინებლის კარს აღებენ. სახლში მათ გარდა არავინაა, გიორგის მშობლები ორი დღით გაემგზავრნენ სოფელში.

ნიცა სიყვარულით ათვალერებს ოთახს, სადაც ვინ მოთვლის, რამდენჯერაა ნამყოფი. ეს საკმაოდ დიდი ზომის ოთახი ძლიერ უყვარს გოგონას, რადგან მისი ყოველი კუთხიდან გამოკრთის ვაჟის თავისუფალი და ფაქიზი სული.

გიორგიმ ღამის სანათი აანთო და ნიცა დასვა მაგიდასთან, რომელზეც ენყო რამდენიმე წიგნი, კომპიუტერის მონიტორი და ყვავილებით სავსე ლარნაკი. სანათის მკრთალი შუქი მოეფინა განიერ, რბილ ტახტსა და ტანსაცმლის კარადას შორის მოთავსებულ პატარა, ხავსისფერ ნოხს, მთელი კედლის გასწვრივ ნიგნებით გაჭედნილ სართულზე განლაგებულ თაროებს. გოგონამ იდუმალი ღიმილით გახედა გიორგის მიერ ზეთის საღებავით შესრულებულ მის თითქმის შიშველ, კედელზე დაკიდებულ პორტრეტს. შემდეგ ვაჟს შეხედა, რომლის კუპრითაც შავმა თვლებმა მოლონად მიიხილა, და ნიცას უცებ ისეთი დაუოკებელი ლტოლვა გაუჩნდა მის მიმართ, რომ თითქმის გაუცნობიერებლად წამოდგა სკამიდან და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

გიორგის წინაშე უდაბნოს ვარდისვით მშვენიერი გოგონა იდგა, რომელიც ვნებით სავსე თვალებით მისგან მხოლოდ

სიყვარულს მოითხოვდა. ვაჟმა თავისკენ მიიზიდა ნიცა, ხვედრითი ნაზ ტეჭებზე მოეალერსა. ველური მარწყვივით ტკბილ, ფუნჯულა ტუჩებში აკოცა. ხელის მსუბუქი მოძრაობით გახადა ატმის ყვავილისფერი კაბა და ბამბის თეთრი ქვედა საცვალი. წამით შეჩერდა, ხელოვანის თვალთ დაუნყო ჭვრეტა გოგონას სრულიად შიშველ, ღვთაებრივ სხეულს, რომლის მშვენიერებამაც მერამდენედ მოაჯადოვა და დაატყვევა. ტალღებად ჩამოღვრილ მზისფერ თმებს ნახევრად დაეფარა ფორთოხლისოდეგა, მკვრივი ძუძუები. სწორი ზურგი ოდნავ შეზნექილი წელით სრულდება და იწყება პატარა, მრგვალი, ატლასივით სრიალა ორი ნახევარმთვარე. სიმწიფეში შესულ თქიფებს დასრულებული ფორმები მიუღია. ნიცას სრულქმნილი სხეულის ხილვით გამოწვეული გაოგნება სულ ერთ წამს გაგრძელდა, შემდეგ ისევ ვნებამ სძლია ესთეტიკურ ტკობას. გიორგიმ ხელში აიყვანა გოგონა და საწოლზე დაანვინა. დაენაფა მის მხურვალე, ალისფერ ბაგეს...

თან მარჯვენა ხელის გრძელი, თლილი თითებით ნაზად უსრესს გამკვირვებულ, მუქ ყავისფერ ძუძუს თავს. კოცნის, ეფერება შევლივით მშვენიერ ყელზე და ვარდის კოკორივით სურნელოვან მკერდზე. ხვევნა-ალერსით სულ უფრო ქვემოთ და ქვემოთ მიიწევს. ვნებაატანელი ტანი სიომონაბერ ფოთოლივით ტოკავს და კრთის...

ზღვასავით ალღევებული სხეული თანდათან დაუნყნარდა. ვნებისაგან დაოსებული გოგონა ნელა წამოჯდა თოვლივით თეთრ ლოგინზე და ვაჟს პერანგი გახადა. დიდი, წყლიანი თვალებით შეხედა არაჩვეულებრივად მომზიბლავ, მამაკაცურ სახეს. პეპლის ფრთებივით სიფრიფანა ხელები მოჰკიდა კუნთმაგარ მკლავებზე და ბავშვივით დაწვინა დიდ, ფაფუკ საწოლზე. თავი უკან გადააგდო, გრძელი თმები ვაჟის ფეხებს დაეფინა. ცხენზე მჯდომი მხედარივით რიტმულად ადის-ჩადის ზემოთ და ქვემოთ, ზოგჯერ კი საცრისებურად გააქნევს თავთუხისფერ თქიფებს. გონება კრიალა ცასავით ნათელი აქვს, მაგრამ მაინც არაფერზე შეუძლია ფიქრი, რადგან სიამოვნებას სრულიად შთაუნთქავს მისი არსება. სიმივით დაეჭიმა მთელი სხეული, და უეცრად მძაფრმა, ფერადოვანმა შეგრძნებებმა ისე ძალუმად გადმოხეტია, თითქოს სადღაც სიამის კაშხალი გარღვეულიყო... ქანცმილული დაესვენა ვაჟის მკერდზე. მოთენთილ სხეულში საამო ჟრუანტელი უვლის. ნეტარების ღიმილმა გადაურბინა წყურვილოკულ ტუჩებზე, როდესაც გიორგიმ ხელი გადაუსვა და აკოცა ქარვისფერ თმებზე.

უსურვავივით ერთმანეთში გადახლართულ ქალ-ვაჟს იმაზე ფიქრში ჩაეძინა, რომ როცა ნიცა დაბრუნდებოდა ამერიკიდან, ეს ვარდისფერი ღამე უცილობლად განმეორდებოდა და საუკუნოდ შეაერთებდა მათ...



ვანო ჩხიკვაძე

წვიმა

უსმინე, ვიდრე არ ამღვრეულა იმ სიყვარულის წმინდა სათავე, ვიდრე ზაფხულის მშვიდი დღეები მხრებს ცხელი კოცნით დაგიდაღვენ.

ყველა სიზმარი უცბად ახდება, ველები, წვიმის მწვანე ფრთები — შურისძიების ნაზი ნალმებით ყაყაჩოები აფეთქდებიან.

სახურავეებზე გადარბის წვიმა — მაღალწვივება, მკვირცხლი იაზო, ხვალ, ცხრა მთას იქით სხვას მოუყვება ზღაპარს, რომელსაც ახლა გაიმბობს.

შემოდგომის წვიმები, ფოთოლცვენის გლოვა, ნეტავ კიდევ რამდენი დიდთოვლობა მოვა.

ნეტავ კიდევ რამდენი ჩამოდნება ლოლო, იანვრის დასაწყისში ან თებერვლის ბოლოს.

ვინ გიტყვოს, მარტმა თუ, აპრილმა თუ, მაისმა, ჭირისუფლად, მითხარი, რომელ დობილს დაისვამ!..

კალენდარის ფურცლებზე ღრენენ წელიწადები, რომ გეგონა ჩატკებები, უფრო მეტად ავდები.

აყალყული ულაყი, ვით კარდია ტროას, როდის გამოგადვიძებს „მეგობარო, დროა.“ უკვე წაკითხულია, დაიხურა, თომა, ერთი კაცის ცხოვრება, აკინძული ტომად.

შეხე, ზამთრის საღამოს თეთრად დაათოვა — მაინც რატომ გეგონა, რომ არასდროს მოვა! რომ არასდროს მოვა!.. რომ არასდროს მოვა!..

ილიაში ამოდებული, მოტეხილი პურის გემო უკან მარბუნებს — უსიხარულო ბავშვობა არ არსებობს, გაუხარელი ის ყოფილა, მერე რომ მოვა, როდესაც საგზლად, პურის სანაცვლოდ, ჯაერის ქვამარილს დაგახვედრებენ.

არა, არავის არ გვექონია მძიმე ბავშვობა, მძიმე იქ დაგვხვდა, საითკენაც მოვიჩქაროდით, ვის ვამუქრებდით ჩვენ გაზრდას და დავაუჟაკებებს, ჩვენი გმირობით ვინ გავაოცეთ, ცხრაკლიტულები დავლენეთ თუ მზეთუნახავი ცხრათავიანი დევის ქალი გამოვიტაცეთ?

ბავშვობისაკენ პურის ხსოვნას მიყვარ-მეთქი — ჩამომდგარია მატარებელი, თქვენ კი არ გინდათ,

თონეში შექნილი ოთხმოცთერთიანი „ბილეთით“ უკან დაბრუნდეთ?!

ვინ მოგვატყუა, ჩვენ ცოდვაში ვინ ჩადგა ფეხი, დღესასწაულის კარი რატომ გამოგვიხურა!

თურმე არავის არ გვექონია მძიმე ბავშვობა, მძიმე იქ დაგვხვდა, საითკენაც მოვიჩქაროდით, სადაც, ერთ დღესაც, ორეული სარკიდან გვეტყვის: — ვიდრე სიბერე გამოგწურავს და მოგინელებს, მაგ ქვამარილის ლუკმა უნდა ლოღნო, სანყალო!

დაუმთავრებელი ლექსი

სად დარუბანდი, სად ნიკოფსია, ასეთი ტურფა, ასე კოპნია...

თავის ნებაზე მიდი-მოდინ, ერთად იხუვლეს, ერთად იდროვეს, ჩემო ქვეყანავ, შარვლის ტოტივით ჩაგჭრეს, ჩაგკერეს, ჩაგავინროვეს,

და ვისაც როგორ მოესურვილა, საზღვრები ისე მისნი-მოსნია — არც დარუბანდი, არც ნიკოფსია, ასეთი ტურფა, ასე კოპნია...

რეანიმაცია

გამომალვიძებს — ნალველი ფეთქავს, არ იცის დღე და არ იცის ღამე, მონოტონური დაცემა წვეთის ოდესმე გახვრეტს მეორე მხარეს.

რატომ დატოვეს ონკანი ღია, მოუთოკავი ნერვები შემშლის, წვეთს წვეთ-წვეთობით სიცოცხლე მიაქვს — შხამის ოხმივარს ამოსულს ყელში.

თვალეში უკვე ბურუსი ბოლავს, ქირურგმა ხელი გადაიბანა. ნარკოზშიც მახსოვს, კარსუკან ცოლი და მონყენილი შვილები დგანან.

ვინ დამილაგებს არეულ დავთარს, რატომ მოვედი ამ შლაგბაუმთან, როდის დამიდგა, ნეტავი, თავთან, გარდაცვლილ დედას აქ რაღა უნდა.

როგორ გაბედავს, დედა აქ არის, რომ შეაყაროს სიკვდილს ნაცარი — „დაბრუნდი უკან, უნდა დაცალო, ჯერ წუთისოფლის ჯამში რაც არის!“

მთელი სიცოცხლე სულ მე მელოდა, ცხადშიც მელოდა,

ძილშიც მელოდა, რაც ჩვენ დავშორდით, შემოდგომის ტყე რამდენჯერ ჩაქრა და გამელოტდა.

კალენდარს ბევრჯერ მოსწყდა ფურცელი, სამყარო მაინც დარჩა უცვლელი, მარტობაშიც უნდა გაუძლო, ერთად უღელში რასაც ვუძლებდით.

მაინც... ვინ იცის... იქნებ რა ხდება... თვალეზე ლურჯი ზეცა ბაცდება. ვიცი, მაღლობის სიტყვა დაგცდება, ამ ქალაქს ცრემლი თუ მოადგება...

სადაც ნალველი გულს ანახშირებს, სადაც უბეში მკვლელი დანა ძეცს. ქუჩაში შარდავს ვილაც თახსირი და ატრიალებს წიხლით სანაგვეს.

გარეუბნების დაშლილი ტივი წვიმის ნიაღვარს მიაქვს და მოაქვს. უჭირს ვილაცას — სირენის კვილს მისდევს აღმართში ძაღლების ხროვა.

აქამდე რატომ გიტანს და გითმენს ძველი ყაიდის ბობოქარ კენტავრს, სარკმელს — წვეთები, კლავიშებს თითი ბოლო სართულზე კენკავს და კენკავს.

ის არ ვარ, რამე რომ გამიკვირდეს, ჩემი სიცოცხლეც ღვარცოფს მივანდე, რა ვქნა, ამ ქალაქს სული მიყვიდე, რომ ვუერთგულო მეც სიკვდილამდე.

ტაძარში მაინც გალობს კრებული, შველას სთხოვს ჯვარზე გაკრულ მესიას და ასაფრენად გამზადებული ფეხისწვერებზე დგას ეკლესია.

ანდერძი

მორიგეობით წავიდნენ იმ საუკუნის „ასები“ — განგებამ მისცათ უფლება ცოდვილ მინაზე დაშვების.

იციან თუ უკვდავებას ვინ როგორ გაეხახუნა — ზოგმა დიდუბე შეავსო, ზოგმა მთანმინდა დახურა.

და ნატვრა ჰქონდათ საერთო, როგორც საჩხერელ პერპერას — „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“ — გულისფიცარზე ენერათ!

გადაიკარა და სასურველი, დანვთებული ლურჯი ნამივით, ჩაჭკნა ია და ჩაქრა სურნელი ტყისპირებიდან ჩამოტანილი.

ჩაჭკნა ია და გულიც გაცივდა, წლები დაღმართში უცებ დახვედნენ. რად ჩაუხსენი ხსოვნას საკინძე, წარსულში რატომ გადამახედე?

ვიდრე ობოლი ცრემლი იელვებს, ჩვეულ სიღინჯით და გარინდებით, მოდის საღამო — ნანადირევი, წელზე შებმული მოაქვს ბინდები.

შენც შეღამების გაჰყევ დინებას, ვერც მე გიტაცე ხელი ალვირზე, მხოლოდ თვალეში მიგაცილებდნენ — გაფერმკრთალებულ და გადაღლილ მზეს.

იაკოვ!

წვიმაჲ კი არა, ცრემლმა დანამა — ჩვენ ძველ სადარდელს ისევ მოვტირით — სურთ „დედაენა“ და იავნანა გამოგვაცალონ დედაბოძივით.

ღმერთო, რამდენი გველი გაზარდეს, გესლის მთხვეელი მშობელ მინაზე შემოგვისიეს — ქვაბ-ავაზაკი ქართული სიტყვის აკვანს იტაცებს.

შთამომავალი,
ვაჰმე, შეშლილია,
ია — ლურჯთვალა, შვებად, იმედად,
მადლნაპკურები, შენი პეშვიდან
ხელახლა როდის ამოიხედავს?!

ქვეყნი

ადრე თუ გვიან შენც დაბრუნდები
სახლში, რომელიც სულ გელოდება,
გელოდება გამოკეტილი
და დახურული დარაბებით პირმოკუმული.

ვიდრე საკეტში გასაღები გაიჩხაკუნებს,
ზღურბლთან საფენი მოგაცილებს
სასაფლაოს კირსა და ტალახს,
და შეჩვეული მშვიდი ლეკვი —
კარში გაჩრილი გაზის ქვითარი —
ხელს აგილოკავს...

როგორ ერთბაშად დაყრუვდა და
გაუცხოვდა აქ ყველაფერი —
არავინ იცის, ძველი ხალხით
თუ კვლავ შემოვა ქუჩის ხმაური
და რბილ ფაჩუჩებს გახდის
სიჩუმეს.

გელოდება ცივი სანოლი,
ქერივის სიზმრებით გატანჯული
გიცდის ბალიში...

კუთხეში კი გასაშრობად დაყუდებული
შავი, გაშლილი, ფეხმძიმე ქოლგა
დიდხანს იტირებს სასაფლაოდან
გამოყოლილი წვიმის წვეთებით.

ზოგს სიღარიბე,
ზოგს კი ქონება
ახრჩობს,
მედროვე ბლენდს და შოუმენს,
ქალაქს ბრძენი თუ არ ეყოლება,
სულელებს მაინც რა გამოუღევს.

ის, ვინც სიმართლის მახვილსა ლესავს
და არ უშრება ცრემლი თვალებში,
ნათლობის წყლის, ძილშიც ჩაესმის,
ტალღის ჩქაფუნე იორდანესი.

ზოგს სიღარიბე —
ვით ალიკაპი,
ამოსდეს,
მაინც უფლის ხმას უსმენს,
რომ შენირული პოეტის გულზე
ამოდის მხოლოდ სისხლის მიხაკი.

წინასწარწავლა

ვინა დარდობს, სულს რომ ღაფავ,
დახლი უდგას დამანყევარს.
გააძევა ბაბუმ პაპა,
სანტამ ბაბუ გააძევა.

თვალი ვერც კი შეგასწარი
უბრალოდ ბრალიანში,
ისე უცებ გადასკუბი
გალიიდან გალიაში.

ჩემი ცოდვით ვინ დაიწვის,
ნაკვერჩხლების ნარზე ვნევიარ.
გააძევა ბაბუმ პაპა,
სანტამ ბაბუ გააძევა.

სოფელში ვილა იყვებს —
გაქალაქელდნენ ძალღებცი,
გახარებული ბუქსა სცემს
ჩემი სამშობლოს ამკლები.

ხან ვიტყვი —
დედაც ვატირე
სხვაზე მეტის ან ნაკლების —
მეც სადმე გადავკვარდები,
უცხოეთს დავესახლები!

სული რამდენჯერ მომიკალ,
გული რამდენჯერ დამწყვიტე,
მაინც თეოზე ვაბივარ,
მხრებზეც ის ცოდო-მადლი წევს —
არ გაცვდა,
შენი მონობის
ჯაჭვი ვერაფრით გავწყვიტე!

ეს სიხარული მხოლოდ შენთვის გამოვიგონე —
არ ემღერებათ ჩემი ლექსის ნატანჯ სტრიქონებს.
ალარ აღირსეს მოსვენება
და სულს — მშვიდობა,
ოთხივე მხარე სინანულმა გადაგიღობა.

მხოლოდ ზღაპარში, ოქროსფერი თმები ჩქერებად
მოჩქეფს კოშკიდან და სანატრელ მკერდს ეფერება.
გადაიხატავს კედლის სარკე ჩემს შებერებას —
სევდა ჭამს ანმეოს,
არც მომავალს არ ემღერება...

ეს სიხარული მხოლოდ შენთვის გამოვიგონე!

პირველი მარცხალი სამთავროში

გაზაფხულის მერცხალის
მერამდენე მოფრენა,
ვაზი, ჯვრად კურთხეული,
მადლით შეიფოთლება.

ღვთის მწყალობელ უბეში
ჟღურტული რომ იფეთქებს,
თაღებს რომ გააღვიძებს,
ბუდეს რომ გაიკეთებს.

ნინო, მოვეახლები,
დაუჭკნობელ სახსოვარს,
შენი ლოცვის ნათელით
გაბრწყინებულ მაყვლოვანს!

ხელისგულზე სანთლები
ცვილის ცრემლებს დაღვრიან —
ღმერთო,
რა სიჩუმეა,
ღმერთო,
რა სიმაღლეა!

„გაგაგი“

სულ სხვისი შემყურე,
სულ სხვისი მძევლები,
ზღვაში ტივტივებენ ნამცეცა გემებიც.

ბორგავს თუ წყნარდება,
ისე თუ ასეა,
თავკერძა ხომალდის გნისით სავსეა —
ზღვაზეც ცხოვრებაა ან მისი მსგავსია,
პატარა მუდმივად დიდების ვალშია.

და ებრძვის გემების არმია არმიას,
უხმო მორჩილების ხარკი თუ არ მიაქვს,
ქორჩავენ „მამლები“
უმწეო ონავრებს,
მიზეზი თუ უნდათ:
— რატომ ხარ ტანჩია!

სულ ემუქრებიან, მშობლიურ ორჩხომელს,
ყურეში — ჩემს დაღლილ გულზე რომ აბია.

ან ამას რა უნდა,
ან იმას რა უნდა,
რამდენჯერ ამოხდა:
„პალუნდრა!“
„პალუნდრა!“ —
თუ ამოიჩემა, ვილაცამ „ჩაუთქვა“,
აბა რას გახდება აყუყულ დაუნთან...

რა მნიშვნელობა აქვს, დარია, შტორმია,
პატარა გემისთვის სულ მუდამ ომია!..

2008

ის ჯავრი მჭამს და სამარეშიც იმ ჯავრით ჩავალ —
მძულს ის ლუკმა, წლები უკან,
როცა აიღო ჩემი ქალაქი,
მტერმა სამადლოდ რომ მომიტანა,
გულს რომ არ უნდოდა,
მაგრამ კუჭმა რომ მიიღო...

მანამდე ზეცას ფუგასის ცეცხლოვანი პეპლები შეუსია და
მინა მუხლუხებით გადახნა —
სადღა არიან ხეობის ლობებზე შეფრენილი მამლები —
სოფლები, შენ რომ დაგყოფდნენ და გაფხიზლებდნენ,
სად გაქრნენ-მეთქი,
ვის ეზობები გადაფრინდნენ, გადაიხვეწნენ!..

სისხლსა და ცრემლში მოზელილი პურის ნატეხი,
ავვისტოს სიცხით გამოშაშრული,
მძულს, შენს სანაცვლოდ
მტერმა ხელისგულზე რომ დამიღო,
გულს რომ არ უნდოდა და
კუჭმა რომ მიიღო...

ის ჯავრი მჭამს და სამარეშიც იმ ჯავრით ჩავალ!

პირველი საქართველო

ხომ გითხარი, კიდევ ერთი,
სექტემბერი მოვა-თქო,
იქნებ შეიძის რომ შევსრულდე, ერთი ნოლი მომაკლო.

არც ასაკის სიბრძნე მინდა,
არც სიბერის კელია,
მხოლოდ ნოლი მომაცილე, შენთვის არაფერია.

დამიბრუნე, გამაბრუნე
„აი იას“ სურნელით,
„დედაენის“ თავფურცელზე მერცხლები რომ მღერიან.
ღმერთო, როგორ მომენატრა —
იქ მინდა და აქ არა —
თმაზე თითებგადასმული მასწავლებლის ჭალარა.

მერხებიდან აფრენილი
ბაფთიანი პეპლები
წმინდა სიყვარულის ალზე კიდევ დავიფერფლები.

ასე როგორ გამიმეტე,
კუთხეში რომ მაყენებ,
ბედნიერი წარსულისკენ ერთხელ არ გამახედე.

თუმცა წლებმა ჩაიარეს,
ჩაქრნენ, ჩაიგრიალეს,
იმ ზარების მაინც მესმის შორეული წკრიალი.

დალოცვილო, ბევრს ხომ არ გთხოვ,
როგორც მაშინ მღეროდა,
იისფერი მელანი და „ჭლეკიანი პერო და“,
ის დღეები დამიბრუნე, ტყუილიც რომ მჯეროდა,
ანბანი რომ მოწვეთავდა სალამურის ღეროდან.

სიზმრად მაინც მაჩვენე და
იმ შარბათით დამათვრე,
ყველაფერი წამართვი და ამ ნოლს რატომ არ მართმევე.

რომ ვთქვა, საოცრება ხდება —
ხომ მომასწარ იმ დილას,
უკვე შვიდი წლისა ვარ და დღეს სკოლაში მივდივარ!

ნეტავი რას გიშავებდა —
ბიჭო სესე, დღეს გოდებ —
ქვები მერცხალს კი არა და საქართველოს ესროლე.

„დედაენა“ თუ წაგვართვეს,
სად მოძებნი სხვა ბუდეს,
ან უძღები შვილი უკან როგორ უნდა დაბრუნდე.

სკოლა — მშობლიური კერა,
ლამეა თუ დღე არის,
იმ ზარების მაინც მიხმობს შორეული წკრიალით.

ვიცი, მონომახის ქუდი
ჩემ მხრებსაც დაამძიმებს,
მაინც არ დავიჩოქები, თვალს თუ არ მომაცილებ.
საქართველო შემომყურებს —
ერთი ნოლით დიდი ვარ,
პირველი სექტემბერია, დღეს სკოლაში მივდივარ!

ალბათ, გამოვა ამინდი,
ისე ბრჭყვიალებს კრამიტი,
ვილაცა ცხვირს აცემინებს,
— იცოცხლე! —
ჩემი რა მიდის.


რაც მოინდომა, ჩაუთქვა,
მტერმა-მოყვარემ, გაუდის,
ყველა ზარდახშა გაეუღეთ,
ბედი კარებთან დავუბით.

უსისხლოდ, ბრძოლის გარეშე,
ხომ დაიჭირეს „კაიფი“,
ფეხიფეხგადადებულია
მტკვართან ყადი და ნაიბი.

ვერ დათვლი, მოგმრავლებია
მტერი ახალი ყაიდის,
ნარგილეს გეახლებიან —
აბოლონ — ჩემი რა მიდის.

რა ხდება, რა გელოდება,
არც ერთ ენაზე არ ითქმის,
ან ქეთოს ვილა იტაცებს —
ლეკთან თავისით გამირბის.

შენს იღბალს ჩაუძინია —
მთვარეს — დღისა და სამი თვის.
გიყეფ, გაღვიძებ ფინია —
გეძინოს, ჩემი რა მიდის!



ლვანლით შემოსილი

მასსმს, რომ კარი თვითონვე გაგვი-
ლო და მისალმების შემდეგ მისალმებისკენ
გაგვიძღვა, რომელიც მისი სამუშაო
ოთახი იყო. სამსახურის საქმეზე ვიყავი-
თ: მის ახალ ნაშრომს ვამზადებდით გა-
მოსაცემად და რამდენიმე საკითხი მინდ-
ოდა შემეთანხმებინა. წინა დღეს ჩემს მე-
გობარს — ირაკლი კაკაბაძეს — ვუთხარი,
ერთ დიდ კაცთან ვაპირებ სტუმრობას და
გამიხარდება, თუ ნამოხვალ-მეთქი.

ბაჩანა ბრეგვაძესთან მანამდეც
არაერთხელ ვყოფილვარ ვაკის ერთი ჩვეუ-
ლებრივი კორპუსის პირველ სართულზე,
თბილ და მყუდრო ბინაში, მაგრამ ეს შეხ-
ვედრა ყველაზე ხანგრძლივი, შთამბეჭ-
დავი და ემოციური გამოდგა.

კარგახანს ფურცლავდა თავის
მრავალწლიან შრომას — დახვეწილი გე-
მოუნებით, სიღრმისეული დეტალების წე-
დომითა და ნამდვილი მეცნიერის ალღო-
თი და გამოცდილებით შესრულებულ
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“
პროზაულ ვერსიას. დაკაბადონებულ ტე-
ქსტში ალაგ-ალაგ მონიშნულ კორექტუ-
რას და ტექნიკურ შესწორებებს ნამიერად
ჰკიდებდა თვალს, მერე სტროფებს ჩაჰყვე-
ბოდა. განსხვავებით „ვეფხისტყაოსნის“
მრავალი პროზაული ვერსიისგან, ეს
გამოცემა ფორმითაც და მნიშვნელობითაც
განსაკუთრებული იყო.

ფორმას რაც შეეხება უკვდავი პო-
ემისთვის ახსნა-განმარტებისა და კომენ-
ტარების დართვის ნაცვლად, პლატონის
მთარგმნელმა ძალიან სახიფათო გზა აირ-
ჩია: მან „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანება
სცადა სკოლის მოსწავლეებისა და ახალ-
გაზრდებისთვის, სტროფი-სტროფ მოყო-
ლა. თითქმის ისევე, როგორც ეს ევროპა-
ში ხდება, როცა, ვთქვათ, უილიამ შექსპირს
ან ფრანსუა ვიიონს თარგმნიან უახლეს
ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

გეთანხმებით, ძნელი და უმადური
საქმეა, მაგრამ საჭირო. ამიტომაც პირვე-
ლი, რაც ვთხოვე, უნდა დაგეთანხმებოდა
და წიგნის გარეკანზე თავისი სახელი დაენ-
ერა.

— არა, ბატონო; არა, გენაცვალე, —
თავიდანვე შორს დაიჭირა, — იქ, სადაც
ავტორად შოთა რუსთაველი აწერია, მე რა
მოსახსენებელი ვარ. ეს არის რუსთაველის
პოემა, მორჩა და გათავდა!

— მესმის, ბატონო ბაჩანა, მაგრამ ეს
ხომ თქვენი ტექსტია, თქვენი, როგორ ვთქ-
ვა — ვცდილობდი, ასე ადვილად არ
დამეთმო, თან ირაკლისკენაც ვაპარებდი
თვალს: მასაც ეტყობოდა, რომ არაერთი
არგუმენტი უტრიალებდა გონებაში.

— თუ ძალიან საჭირო და აუცილებე-
ლია, დამანერეთ სადმე, შიგნით, სადაც
რედაქტორებს აწერენ ხოლმე.

— მაგრამ თქვენ ხომ რედაქტორი არ

ზვიად კვარაცხელია დარეკე! დაუბარე!

ხართ! — ალღევებისგან ქალაქი შუაზე
გავკეცი, მაგიდიდან კალამი ავიღე და კვა-
დრატის მსგავსი ფიგურა დავხატე, — ვთქ-
ვათ, ეს არის გარეკანი, — ბატონმა ბაჩან-
ამ გაოცებით შემომხედა, ირაკლიმ გაიღ-
იმა და თვალი ჩამიკრა, — აი, აქ დაენერე-
ბა ავტორი, წიგნის სათაური და აქ, აი, აქ,
ის, რომ პროზაული ვერსია ეკუთვნის ბა-
ჩანა ბრეგვაძეს.

— არა, გენაცვალე, გარეკანზე არავი-
თარ შემთხვევაში, — უკან არ იხედა ჩვე-
ნი მასპინძელი, და მაშინ იყო, ჩუმად, კუთხ-
ეში მჯდომმა მისმა მეუღლემ, ქალბატონ-
მა ლიამ რომ ვერ მოითმინა:

— ბაჩო, კარგი, შენი თავი არ გიყვარს,
მაგრამ შეილება მაინც იფიქრო!

ნამიერი პაუზის შემდეგ, თითქოს მეც
და ირაკლიმაც მონაცვლეობით შევაპ-
არეთ: „თან ეს ჩვენ გვჭირდება“. „ქართვე-
ლ მკითხველს სჭირდება“. „ის კი არა,
გარეკანის ბოლო გვერდზე თქვენი ფო-
ტოს გაშვებაც არ იქნებოდა ურიგო“ (ამ
რეპლიკას ბაჩანა ბრეგვაძის ბავშვური
გაოცება და რამდენიმეწუთიანი კამათი
მოჰყვა). „მით უმეტეს, ახალგაზრდა
მკითხველმა ხომ უნდა იცოდეს, რომ ად-
ამიანი, ვინც ეს წიგნი მოამზადა, ეგზოტე-
რის მთარგმნელია“. „ძველი აღქმის“.
„მარკუს ავრელიუსის“. „მაკიაველის“. „ნე-
ტარი ავგუსტინეს“


— სხვათა შორის, „დონ კიხოტიც“
მაქვს თარგმნილი, — ნამოგვეშველა ბა-
ტონი ბაჩანა, — და ხომ ასეთი ტანჯვა და
წვალეზა ამ ფილოსოფოსების თარგმნა
და კომენტარების მომზადება, აი, სერ-
ვანტესს რომ ვთარგმნიდი, ისეთი სიამ-
ოვნებით, სიხარულით არაფერი მიკეთე-
ბია. მართო ვიჯექი და ვიცინოდი. მერე
ვიფიქრე, ვინმეს გიჟი არ ვეგონო-მეთქი,
მაგრამ თავის შეკავებაც მიჭირდა.
ჩემთვის ჩუმად ვიჯექი და ვიცინოდი.

თავისთვის, ჩუმად — ეს მარტოსული,
ღვანლით შემოსილი გიორგი მთაწმინდე-
ლის მემკვიდრე რამდენ ბრძენკაცს, ნიჭით
გასხივოსნებულს შემოუძღვა და ძველ-
ბერძნულიდან, ლათინურიდან, ფრანგულ-
იდან, ესპანურიდან, იტალიურიდან,
რუსულიდან ქართული ენისა და ლიტერ-
ატურის სივრცეში შემოიყვანა მარტო
მათი ფიქრი და ნააზრევი კი არა — მათი
სული, უკვდავი სული.

და ახლა, როცა შრომითა და ძიებით
დამამერალი ოსტატის გვერდით გატარე-
ბულ დროს ვიხსენებთ, თვითონ ალბათ
ბედნიერია, რომ მისი წიგნების ფურ-
ცლებზე ისე შეუძლია დაისვენოს ჩვენმა
დაღლილმა სულმა, როგორც გადამფრე-
ნი ფრინველები ისვენებენ გაშლილ ზღვა-
ში გემის ანძაზე.

გამოტოვებული ზარევის სევდა

ხმა გამორთულია და შარვლის ჯიბეს
ვიბრაცია მინვავს. ეკრანს დავხედე. დათო



კახაბერი მირეკავს. დადიანების სასახლის
საგამოფენო დარბაზში გიდი წარსულის
ამბებს ჰყვება — ტკიბლად, ემოციურად,
სხაპასხუპით, თითქოს ძალიან უნდა, არც
თვითონ გამორჩეს და არც ჩვენ გამოგვა-
ტოვებინოს საზუპიროები ისტორიიდან.

ვუპასუხო თუ არ ვუპასუხო? კარგი, არა
უშავს, ხუთ წუთში გადავურეკავ. აქედან
გავალ თუ არა, მაშინვე გადავურეკავ.
ეკრანს დავცქერი და თან ექსპონატებსაც
ავხედავ ხოლმე, ხანაც ჩემი სტუმრისკენ-
აც გავაპარებ თვალს — რაც თავი მახს-
ოვს, იმდენჯერ და იმდენ ადამიანთან ერ-
თად მოვსულვარ, წესით მოყირჭებული
უნდა მქონდეს აქაურობა, მაგრამ აი, ის
მიყვარს: ემოციებზე დაკვირვება. როგორ
დაიშუბტება, აინთება, რას გაიფიქრებს და
მერე იტყვის (ან არ იტყვის), რა შეეტყობა
და რას გამოხატავს, განცვიფრდება თუ
დაიბნევა, რამე აზრის იტყვის თუ უცნ-
აურ შეკითხვას დასვამს, როგორც ერთ
გოგოს დაემართა, როცა სოფელ
თაგილონთან აღმოჩენილ კოლხური ცუ-
ლის ყალობზე იკითხა — ეს ეკატერინე
ჭავჭავაძის დროინდელია?

ეკრანს დავყურებ. ზარი არ შემოდის და
შემომავალი ზარების მწკრივში ნითლად
მოჩანს გამოტოვებული ზარი. ეზოში რომ
ჩავალ, დავურეკავ. აუცილებლად. ვინ
იცის, რა უნდა. ბოლოს რომ ველაპარ-
აკე — მოემზადე, პაპა, პრუსტის „გერმან-
ტები“ უნდა ვთარგმნო, ერთი-ორი პატ-
არა საქმე და მერე შევუდგებიო.

ვურეკავ. ზარი წყდება. არა, გამორთუ-
ლი არ აქვს, ალბათ სიხშირის პრობლემაა.
ისევ ვურეკავ. ისევ წყდება. დადიანების
ეზოში ვართ. სანამ თბილისისკენ დავე-
პირებით, სტუმარ-მასპინძლები ერთმა-
ნეთს სიტყვას ვუცვლით — ისეთი ამბავია,
თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი რაღა-
ცის თქმა რომ გევალება და ამ დროს ყვე-
ლაზე ჩვეულებრივ რამეზე ლაპარაკობ:
ამინდზე და პარტიების დაპირისპირება-
ზე, რომელმაც ოჯახები ერთმანეთს გადა-
ჰკიდა; შიგადაშიგ საჭირო და აპრობირე-
ბულ წინადადებებს შევურევთ ხოლმე:
„დიდი ხანია, ტელევიზორისთვის არ შემი-
ხედია, ან რას უნდა უყურო — კინკლაობას,
სკანდალს თუ დაცინვას? გამასხრებული
ჰყავთ მოხუცები, ბავშვები და უზნეო
ქალების ვალიდან ხომ ვერ ამოვედით ჯერ
კიდევ, დროდადრო მფარველი ანგელოზ-
ებივით რომ გამოჩნდებიან ეკრანზე ჭკუის
დამრიგებლად“.

თბილისში გვიან ღამით ჩავდივართ.
რამდენიმე დღიან დაჭიმულ რიტმში
გამოლილი ტანსაცმლის გამოცვლას
ვასწრებ და სამსახურში დაგეგმილი შეხ-
ვედრების წყებას მთელი დღის განმავლო-
ბაში ვუმკვლავებთ. შინ საღამოხანს
მისულს მკვდარივით მეძინება. ნაშუა-
დღევის სადილობისა და ბავშვებთან თამა-
შის შემდეგ ლეპტოპს ვხსნი. მანონ ბუ-
ლისკერიას თავის გვერდზე დათო კახაბ-
ერის ფოტო უდევს და გამოსამშვიდობე-
ბელი ტექსტი. ღმერთო, რა ხდება?! ფო-
ტოს ვუყურებ, მერე ტელეფონს ვიღებ და

შემომავალი ზარების მწკრივში გამო-
ტოვებულ ზარებს დავცქერი. ისე ფოტოს
ვუყურებ და მის ქვეშ გაჩენილ სამძიმრის
კომენტარებს — ერთს, მეორეს, მესამეს —
ღმერთო, ეს როგორ დამემართა! რისი
თქმა უნდოდა?! ვდგები და ოთახიდან
ოთახში დავბორიალობ იმის გასააზრე-
ბლად, რომ ადამიანი, რომელიც გუშინ თუ
გუშინდინ მირეკავდა და რაღაც უნდოდა
ჩემგან, რაღაცაზე პასუხი სჭირდებოდა —
ცოცხალი არ არის. და მე ამ დროს თავი
მომაქვს იმით, რომ ძვირფასი ადამიანებ-
ის ტელეფონის ნომრებს მათი ამქვეყნიდან
ნასვლის შემდეგაც არ ვმლიჩობილი რი-
დან. ჰო, ბევრჯერ მიტრიაბხია (მათ მოლოდინი,
საკუთარ თავთანაც), რომ ჯემალ მონია-
ვას, არიანე ჭანტურას, ჯანრი კაშიას ნომ-
რები — მათთან ურთიერთობის უკვე ჩამ-
ქრალი ხაზები — მკაცრი და უღმობელი
დროის ცვლილებას არ გადაურეცხავს
ჩემთვის.

ჟიდი თარგმნაო, იონესკო თარგმნაო,
უელბეკი თარგმნაო, ბევრი ნიჭიერი ახალ-
გაზრდა გამოიყვანაო — წერდნენ და ამ-
ბობდნენ იმ დღეებში დათო კახაბერზე, ისე,
როგორც წესია და როგორც მშრომელ,
კეთილ კაცზე უნდა ილაპარაკო. იმსახ-
ურებს. დრო რომ გავა, უფრო მეტად
დაფასდება მისი საქმე. მე კი სამუდამოდ
დამიტოვა იმ უპასუხო, გამოტოვებული
ზარის სევდა, მოურჩენელი და გამოუღე-
ვლი.

ხვალ მივლივარ ცად...

— ბიჭო, ზვიად, აქ ხარ? — ქოშინით
ამოდის კიბეზე, მეც ზუსტად იმ ნუთას
ვალბე კარს და ერთმანეთს შევეფეთებთ,
— ნახე? ნაიკითხე? — მომცრო ზომის
წიგნს მაჩვენებს ხელში.

სანამ გადავფურცლავდე, უფრო სწო-
რად, სანამ წიგნის გარეკანს დავხედავდე,
გული ვერ მოუთმენს და ხმა მაღლა, ანთე-
ბული მეუბნება, თვალები სიხარულისგან
უელავს:

— დათო წერედიანმა ლექსი მომიძღვ-
ნა. მართო მე მთელ წიგნში, სხვას არავის,
მართო მე გამომარჩია, — ჩემს პასუხს არ
ელოდება, წიგნს მართმევს, ჯერ თავში
გადაშლის, მერე სარჩევს ჩახედავს, მერე
უცებ უკან მივრუნებს, — მართო მე გამო-
მარჩია. კიტები ვგრძნობთ ერთმანეთს!


ხშირად მინახავს გაოცებული, აღფრ-
თოვანებული, ალღევებული, აღფოთებუ-
ლი, განერვილებული, ნაწყენი, ნამთვრა-
ლვევი რენე კალანდია, მაგრამ ის დღე
მაინც განსაკუთრებულად ჩამოჩა მეხ-
სიერებაში. ნამტირალევიც მინახავს —
ზუგდიდში, კაფე „აქატის“ წინ, სულ პირვე-
ლად, 9 აპრილის მემორიალთან ერთმა
ნაცნობმა ბიჭმა მიჩვენა დაჩოქილი კაცი,
აკანკალეული ხელებით რომ სანთელს
უკიდებდა და რამდენჯერმე ჩაუქრა სან-
თელი. არ ვმეგობოდა, ხან მუჭაში მოიქცე-
და ასანთის ღერს, ხან მთელი სხეულით
გადაეფარებოდა სანთელს.

ის დღეც მახსოვს, ქალაქის ერთ სასა-
დილოში ყველას გასაგონად რომ დაიბუხ-
უნა და, „უპირველეს რენესანსს, ანუ
ალორძინებას, ურითმავენ — რენე სვამს,
მაღე ჩაეძინება...“ ლალ და ცოცხალ მელო-
დიად ჩაეფინა ყველაფერს: შრომისგან თუ
უმუშევრობისგან, სიცვიისგან თუ შიმშილ-
ისგან შემოხიზნულ ადამიანებს, ერთ გრ-
ძელ ოთახში ჩამორიგებულ ხის უფორმო
მაგიდებს, მაგიდებთან მისვენებულ გა-
ცრეცილ სკამებს. თითქოს ლექსის ძალა
კი არ დაანახა იქ შეკრებილებს, არამედ
ლექსზე უპირატესის, პოეტური სიტყვის
დემონსტრირება შეძლო.

გამომცემლობის აივანზე ვიდექით,
წიგნი გადავფურცლე, რენემ სიგარეტს
მოუკიდა:

„უამი მოკლე, უამი გრძელი,
მხარზე მადევს უფლის ხელი,
მოყვარენო, შინ და გარეთ,
ვის რა გსურდეთ, დამაბარეთ,
ხვალ მივლივარ ცად.“

ალის ქალი, ღელვის პირი,
პირი ელვა, ცოდვის ძირი,
მზის კალო და მთვარის ბანი,
წვიმის თმა და ნისლის ტანი...
ხვალ მივლივარ ცად“.



ნესტან ეგეტაშვილი კვალისა

დავით ნერედიანის ამ ლექსს „მეგრული მოტივი“ ჰქვია და „სვანური სიმღერების“ ლიტერატურული ვერსიის ავტორი ამ შემთხვევაშიც ღრმად წვდება იდუმალ, სევდიან და ნოსტალგიურ „ნერვის ძაფს“. და სწორედ ეს „ძაფი ნერვისა“, უკვდავი პოეტისგან უდიდეს სიმძაფრედ დაჭიმული, იმ გზად, იმ სიმაღლედ რჩება, რომელიც ყველა ნამდვილი პოეტისთვის ზნეობრივი ორიენტირი უნდა იყოს.


ეს გზა და მზადყოფნა ამ გზისთვის კარგად ჩანს რენე კალანდიას ლექსში „ზუგდიდი: ნიგნის მალაზია, 16 აპრილი (ბაჩანა ბრეგვაძის)“:

„აჰა, ნისიად დამითმეს
თქვენი ნათარგმნი პლატონი! —
კვლავ ცალ-ცალკე ვართ — მე, ფული,
შვეიცარიის კანტონი...
უფულოდ როგორ კეთდება
საქმენი — სადიადონი,
კარგად უწყობდა პლატონმა,
მეც ვიცი, თუმცა მარტო ვარ...
ვნახავ: სულ შესვა სოკრატემ,
თუ ორი წვეთი ჩატოვა —
ჩემთვის?..“

იშვიათად მინახავს ადამიანი, პირველივე შემხვედრთან, თითქმის უცნობთან ისე დახარჯულიყოს, როგორც ეს რენე კალანდიას შეეძლო. და ყველა, ვინც მის პირად საუბარს შესწრება, დამერწმუნება, რომ ლიტერატურული თუ სხვა სახელების დამონებაც უხვად იცოდა — თითქოს მათ კი არ ახსენებდა მხოლოდ, სიტყვასა და სიტყვაში სვამდა, როგორც მოკავშირეს, მესაიდუმლეს, მეგობარს. ამით თანამოსაუბრესთანაც საერთო ენას პოულობდა, რომ იმნუთიერი სიმარტოვიდან ამოეღწია.

გამომცემლობის აივანზე ვდგავართ, რენე ეწევა, კორპუსებს გავცქერით და უცებ მეუბნება:

— ერთმა მწერალმა მითხრა, გამიხარდა, მწერალთა კავშირიდან ჩემს გარიცხვას ხელი რომ არ მოაწერო. მე ვუთხარი, ვინმეს გარიცხვას რომ ხელი მოვანერო, მერე იმ ხელით ლექსი როგორ უნდა დავწერო-მეთქი...



მამა ბოლოს რომ ნახა, ისეთი ჩია და დაპატარავებული მოეჩვენა, როგორც ის მსხლის ხე, მეზობლის მიტოვებულ ბაღში რომ იდგა. ბავშვობაში ბიჭებთან ერთად ხშირად იპარებოდა ხოლმე იქ, ტრიფოლიატის მოუვლელ ღობეზე იკანარავდა ხელეხს და ფეხებს. ნესტანის მსხლელებით ივსებდა უბეებს. ხე ბაღის შუაგულში იდგა და იმ-სიმაღლე იყო, სადაცაა ცას მისწვდებოდა. მერე კი, ერთხელ, როცა დიდობაში ისევ იმ ბაღში მოხვდა, გაუკვირდა. თურმე, ის ხე ცასთან არც ისე ახლოს ყოფილა, პატარაობაში რომ ეჩვენებოდა.

მანქანა მიხვეულ-მოხვეულ გზას მიუყვებოდა. მძღოლის გვერდით იჯდა. არაფერზე ფიქრობდა, ვერაფერს გრძობდა. უკვირდა, ასე უემოციოდ რომ ხვდებოდა მშობლიურ მხარეში დაბრუნებას. თორმეტი წელი ციხეში გაეტარებინა. კიდევ ორი ციხის საავადმყოფოში იწვა, ტუბერკულოზს ებრძოდა. მამამ ბოლოს საავადმყოფოში მიაკითხა. საყვლოსთან გადაქექილი პიჯაკი ეცვა, ხელში ნაჭრის ჩანთა ეჭირა. აკანკალებული ხელით ამოიღო იქიდან თავიანთი ვენახის ყურძენი და თვალეში გაუბედავად ჩააცქერდა. ცრემლები ყელში მოაწვა. მოხუცი მიხვდა, დაიბნა. უაზრო კითხვებით შეეცადა საავადმყოფოს მძიმე, დაგუბებული ჰაერის განმუხტვას: „მაინც როგორ გძინავს ღამე?“ „აქედან როდის აპირებენ შენს გამოშვებას?“ „ისევ ვაწუხებს ხველა?“ „რას იძახიან ექიმები, იქნებ ცდებიან და ტუბერკულოზი სულაც არა გჭირს?“

კითხვებმა კიდევ უფრო ააღელვა, გააღიზიანა. უხეშად პასუხობდა, თვალს არიდებდა... მოხუცი უხერხულად ილიმებოდა, არ იცოდა, რა ეთქვა, ხშირ-ხშირად ისწორებდა გადახუნებული პიჯაკის საყვლოს და დროდადრო ოხრავდა. როცა ცრემლებმა ყელში ისე მაგრად მოუჭირა, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა, მამას ნაძალადევი, გულგრილი ღიმილით გამოემშვიდობა და ზურგი შეაქცია.

მერე დიდხანს იხსენებდა ამ შეხვედრას და გული სტკიოდა.

მოხუცი ნოემბერში გარდაიცვალა. ალბათ თავისი ხელით დაწერილი ღვინის გადაღებაც ვერ მოასწროო, მარტო ეს გაიფიქრა. ამის შემდეგ არც არაფერზე უდარდია. ხანდახან საკუთარი თავი შეეცოდებოდა ხოლმე და ეს იყო.

ოცი წლის ჯერ არ იყო, ქალაქში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად. ღამით ტაქსის მძღოლად მუშაობდა, დღისით ინსტიტუტში დადიოდა, მეღვინეობა უნდოდა. შეყვარებული ჰყავდა. ის გოგო საექთნოზე სწავლობდა, ღამაში არ იყო, მაგრამ რაღაცნაირი საყვარელი სახე ჰქონდა, თვალეში სულ უცმციმებდა. ამ შემოდგომაზე თუ არა, მომავალ წელს დავტაცებ ხელს და სოფელში ჩემებთან ავიყვანო, ფიქრობდა. მაგრამ გაზაფხულზე რამდენიმე ღამის უძილოს საჭესთან ჩაეძინა და მოპირდაპირე მანქანას შეასკდა. თვითონ გადარჩა, თუმცა ამ ამბავს სამი კაცი ემსხვერპლა. არც გაქცევა უცდია, არც გადამაღვა. ციხეში ყოფნა მისთვის შვება იყო.

ულელტეხილის აღმართს დაადგნენ და მანქანამ სვლა შეანელა. ნაცნობ ველებს გადახედა: ვენახებს, ბაღებს, სიმინდის ყანებს სხვადასხვაფერად დაესხენა მინა. მაინც ვერაფერს გრძობდა. არაფერი უხაროდა. უკვირდა, თუმცა არც ეს უემოციობა ადარდებდა. გზა ტყეში გადიოდა. მურყანსა და რცხილას თანდათან შეინდი, ასკილი და ხუთგულა ენაცვლებოდა. როცა მანქანა ყველაზე მაღალ წერტილს მიუახლოვდა, მის ხმაზე გზის ორივე მხარეს აბუზულმა ძაღლებმა თავები წამოყვეს და ნალვლიანი მზერა გამოაყოლეს.

— გააჩერე, — უცებ იყვირა და მძღოლმაც მოწყვეტილი დაამუხრუჭა.

— რა მოხდა? — იკითხა გაკვირვებულმა.

— ხმა არ გასცა, მანქანიდან გადავიდა.

— ცუგა, ცუგა, — დაიყვირა და ძაღლებს დაუსტივნა. მისკენ გამოქანდნენ. სულ პირველი გაძვალტყავებულნი, თეთრი ლეკვი მივარდა. სიცივისაგან აპრიალეზულ თვალეებს დამფრთხალი აცეცებდა. ხელი სტაცა და მანქანაში ჩაისვა.

— ნაიდეო, — უთხრა ტაქსის გაკვირვებულ მძღოლს. მანაც მანქანა დაძრა. დანარჩენმა ძაღლებმა ცოტა ხანს სდიეს, მერე გაჩერდნენ და აქეთ-იქით უხალისოდ გაიფანტნენ.

ლეკვი მის ფეხებთან კმაყოფილი მოიბუზა, თავი ბათინკზე ჩამოაღო.

— რას დაარქმევ? — იკითხა მძღოლმა.

— კვალისას, — მიუგო თითქოს გამხიარებულმა.

— კვერცხების, წინილების, ქათმების ჭამაზე შემწენულები მოჰყავთ ხოლმე აქ და ტოვებენ... ხანდახან სიბერით დაუძღვრებულებიც ამოჰყავთ... ცოდონი კი არიან ეს საწყალები... ყველაზე მაღალი ადგილია, ახლო-მახლო სოფლებიც არაა, ვერსად მიდიან, წვანან ასე და გამველ-გამომველ მანქანებს შეჰყურებენ იმედის თვალით...

მძღოლი ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ აღარ უსმენდა. ლეკვს კეფაზე ეფერებოდა და ფიქრებში წასული დიდი ხნის წინანდელ ამბავს იხსენებდა: ალბათ სამი-ოთხი წლის იქნებოდა, პაპამ სახლში მეძებრის პატარა ლეკვი რომ მიიყვანა. სახელიც პაპამ დაარქვა — კვალისა, ტახ-

ების კვალზე კარგად ირბენსო. მაგრამ პაპა გარდაიცვალა და ტახებზე ნადირობის ოცნებაზეც ჩაილურის წყალი დალია.

ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. რამდენიმე დღე გადაუღებლად ბარდნიდა. მან და მისმა განუყრელმა მეგობარმა, მახომ, გამოაბეს კვალისას კისერზე კაპრონის თოკი და ტყეში შაშვებზე სანადიროდ წაიყვანეს. მაგრამ მახომ შაშვის ნაცვლად ტყვია კვალისას არ მოარტყა?! ასე დაკოჭლდა საბრალო.

მართალია, მეძებარი იყო, მაგრამ კვალისა ეზოს ერთგულად იცავდა. უცხო ხმას გაიგებდა თუ არა, მამინვე ყეფას ატეხდა. მერე და მერე ვიროხებზე დაიწყო ნადირობა, სასტიკად ემტერებოდა. დრო გადიოდა და კვალისაც ბერდებოდა, უძღვრებოდა. ეზოში მხიარული კუდის ქიციანით აღარ ეგებებოდა. უცხოებსაც უფრო ზანტად უყეფდა. ძლივს აათრევდა ხოლმე მინიდან დამძიმებულ ტანს, როცა საჭმელად ეძახდა. ამას ისიც დაემატა, რომ ფეხზე ახალი იარა გაუჩნდა. დიდებამ ექიმბაშიდან რალაც მალამო მოუტანა, მაგრამ ვერა და ვერ შეუხორცდა.

ერთ დღესაც, როცა სკოლიდან სახლში დაბრუნდა, ჭიშკართან სახეანითლებული მახო შემოეგება:

— კვალისა წაიყვანეს, — გაფართოებული თვალეებით მიახალა.

— გასწი აქედან, — გაუწყრა ღობესთან ბალახის გლეჯვაში გართული დიდებდა და ჭიშკრის კარი ცხვირწინ მიუყეტა.

— ძია ვანომ ჩაისვა მანქანაში და სადღაც წაიყვანა, — მახოს განწირული ხმა ახლა ღობის იქიდან ისმოდა.

— რა ხდება, ბებო? — დიდებდას მიაჩერდა.

მაგრამ მოხუცმა კითხვა ბანზე აუგდო და ზურგი შეაქცია.

სკოლის ჩანთა იქვე მიაგდო და კვალისას დაუწყო ძებნა. ეზოში ყველა მისი საყვარელი თავშესაფარი შეამოწმა. არსად იყო. „სად წაიყვანა ძია ვანომ?“ ხან დედას მიადგებოდა, ხანაც დიდებდას, მაგრამ ხმას არავინ სცემდა. შუადღისას შემთხვევით მოკრა ყური უფროსების საუბარს:

— საბრალო კვალისა, განა რას გვიშლიდა? — ჩურჩულებდა დედა.

— ბიჭი მეცოდება, მთელი დღეა, თვალეში ვერ შემიხედავს, რომ გაიგოს, გაგვიგიჟდება, — ქოთქოთებდა დიდებდაც.

ძია ვანო პაპის ნათლული იყო, დაბალი, ჭრელთვალეზა, მოუსვენარი კაცი. სოფლის ბოლოში საზამთროს ბაღი ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში თავნახილი მუშაობდა. მერე კი, როცა ვეებერთელა საზამთროები თითის სისხო ღეროებს გამოებებოდა, კრეფდა და ჩრდილში აწყობდა. კვირაში ერთხელ თავის მანქანაზე ტვირთავდა და მეზობელი სოფლის ბაზარში მიჰქონდა გასაყიდად. ახსოვს, ერთხელ ბაზარში გაჰყვა. რას არ ნახავდა იქ კაცის თვალი: კურდღლებს, იხვის ახლადგამოჩეკლ ჭუჭულებს, ინდაურებს, ლურჯთვალა ვირებს, ცხენებს, ქათმათა ციკნებს... ნაირ-ნაირ ხილსა თუ ბოსტნეულს, ჩურჩხელებს, ჩირებს, თავსაფრებივით თოქზე გადაკიდებულ ტყლაპებს, საზამთროსა და ნესვის გორაკებს. ამ საოცარი ადგილისკენ მიმავალ ძია ვანოს, რა უნდა მომხდარიყო, საზამთროთი მიწამდე დამძიმებული მანქანა მათ ჭიშკართან არ გაეჩერებინა და დიდებდასთვის არ ეკითხა, ბაზრიდან რამე ხომ არ გამოგიყოლოო. ბაზარში მიმავალს კი სწორედ ის ადგილი უნდა გაეგლო, სადაც ბევრჯერ უნახავს საცოდავად აბუზული, მიტოვებული ძაღლები. მიხვდა, სად წაიყვანათ მისი კვალისა.

მთელი საღამო საწოლიდან თავი არ აუნწევია, პირქვე იყო დამხობილი და ტიროდა. შებინდებისას ჭიშკართან მანქანა გაჩერდა და რამდენჯერმე დაასიგნალა. მამა იყო. უხალისოდ წამოდგა ლოგინიდან და ეზოში კარის გასაღებად გავიდა. თეთრი „ჟიგული“ ეზოში შემოგორდა თუ არა, კვალისას ყეფა მოესმა. იფიქრა, მეჩვენებო, მაგრამ გადმოვიდა მამა მანქანიდან და კვალისაც გადმოხტა. კოჭლობით მიუახლოვდა და ხელეების ლოკვა დაუწყო.

— რა მოხდა? აქ საიდან გაჩნდა? — გარეთ გახარებული დედა და დიდებდაც გავიდნენ.

— ისეთი ჭკვიანია, ამის სახლიდან გაშვება როგორ შეიძლებოდა? ბაზარში გავედი საქმეზე. უკანა გზაზე რას ვხედავ, ზის კვალისა გზის პირას, გაფაცვიცებულ აყილებს თვალს მანქანებს. დამინახა თუ არა, მოსწყდა ადგილს და გამოემეკიდა. ეტყობა, მანქანა იცნო. ნატკენი ფეხით ხუთას მეტრამდე მაინც მდია. შემეცოდა და გაუჩერე. აბა, რა უნდა მექნა? — მამა მხრებს უხერხულად ათამაშებდა და დამნაშავესავით ილიმებოდა.

მანქანა ახლა თავქვე ეშვებოდა. სიამოვნებისგან განაბული ლეკვი ახალი პატრონის კალთაში იყო მოკალათებული. ისიც კეფაზე ეფერებოდა და ღიმილით ჩაჰყურებდა აპრიალეზულ დიდ თვალეებში. სულ სხვანაირი იყო, მაგრამ მაინც თავისი კვალისას დანახვას ცდილობდა.



ბამობიტსაბიტი, რომ აზრზე არა ვარ, აქვს თუ არა რაიმე გენტიკური კავშირი ჩემ ისრაელელ, რუსულენოვან, ვირტუალურ მეგობარს იან ბელინსკის მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ მოაზროვნესთან — ფილოსოფოსსა და კრიტიკოს ბესარიონ გრიგორის ძე ბელინსკისთან. სამაგიეროდ ვიცი, რომ ეს წიგნის მოყვარული ადამიანი, მთელი არსებით, ქართველი მწერლის ჯემალ თოფურის შემოქმედებითაა გატაცებული.

ჯემალ თოფურისადმი დიდმა სიყვარულმა იან ბელინსკი ჩემი „ფეისბუქის“ კედლამდე შორი გზებით ატარა და მას შემდეგ, რაც მომაგნო, „ინბოქსში“, ვითარცა „გოდების კედელში“, პატარ-პატარა ბარათებს მიტოვებს. მისტიკური დამთხვევაა, ალბათ, რომ ჯემალ თოფურიძემ მთელი ბავშვობა და შეგნებული ცხოვრება, დედასთან ერთად, ბელინსკის ქუჩაზე, ბაბუამისის სულეიმან დიასამიძისა და ბიძამისის ნიაზ დიასამიძის სახლში გაატარა, სახლში, რომელიც ერთადერთ ნავსაყუდლად მიიჩნდა, თუმცა, ისე მოხდა, რომ ცხოვრების ბოლო წლებში მაინც სულ სხვა სახლში გადავიდა. ამ უცნაური დამთხვევის შესახებ იან ბელინსკიმ არაფერი იცის. გპირდებით, რომ მალე გაიგებს, მანამდე კი, ამბავს იმით დავიწყებ, რომ 2016 წელს, ისრაელში სამუშაოდ ჩამოსვლიდან სულ რამდენიმე დღეში, ჩემი „ფეისბუქის“ „ინბოქსში“ ვინმე იან ბელინსკისგან ასეთი შინაარსის წერილი მივიღე:

— გამარჯობა, მანანა! გწერთ ჩემი ნაცნობის, გოგი ჩხაიძის შუამდგომლობით, რომელმაც, თქვენთან დამეგობრებაზე დასტურის მისაღებად, მირჩია, ნინო გოგუას სახელი უხსენეო... ღმერთო, არ მჯერა, რომ ახლა იმ ავტორის მეუღლეს ვესაუბრები, რომლის ნაწერებმაც თავის დროზე გონება ამომიყრავა. გენიალური მწერალი, თან, ალბათ, ურთულესი პიროვნებაა თანაცხოვრებაში. „დიოსკურიას“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეტად იმპულსური ადამიანი უნდა ყოფილიყო. ჯემალ თოფურის ფილოსოფიის გაცნობიერებამ ჩემში გარდამტეხი ფსიქოლოგიური ძვრები გამოიწვია. გავიხსენოთ, თუნდაც, ნანარკების ის მომენტი, როცა ახალგაზრდა მამა იგრძნობს, რომ მისი მოზარდი ვაჟი დასმულ შეკითხვაზე გაღიზიანებით პასუხობს, თითქოს მას ბაძავს... მამა იმ წუთასვე ხვდება, რომ დროა, ბიჭი თავის გზაზე გაუშვას, განერიდოს მას, რათა ფსიქიკა საბოლოოდ არ დაუნგრეოს... საკუთარ ფსიქიკას, თავად, უკვე ვეღარ მართავს, თუმცა სადი აზრი ჯერ არ დაუკარგავს. ჯემალ თოფურის წიგნის დაკარგვა ჩემთვის ტრაგედიის ტოლფასი გახლდათ. მომპარეს. უდავოდ იმან მოიპარა, ვინც ამ მოთხრობების ფასი კარგად გაიგო.

ლაპარაკია 1983 წელს გამომცემლობა „მერანის“ მიერ დასტამბულ პროზაულ კრებულზე, რომელშიც ჯემალ თოფურის რუსულად თარგმნილი 11 ნოველა შევიდა (მთარგმნელი: ალექსანდრე ზლატკინი). წიგნი გამოსვლისთანავე გაქრა დახლებიდან და დღეს იგი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ვიდრე „ინბოქსში“ მეორე წერილს ჩამიგდებდა, იან ბელინსკის მივწერე, რომ თბილისში, სახლში, რუსული კრებულის მხოლოდ სამი ეგზემპლარი დამრჩა და ერთს აუცილებლად საჩუქრად ჩავუტანდი.

— რა ბედნიერი დამთხვევაა, რომ ახლა მე და თქვენ, ორივე, თელ-ავივში ვცხოვრობთ, თან, მეზობელ უბნებში. როგორ გავკადნიერდები და ორიგინალს როგორ მოგთხოვთ — ქსერო-ასლითაც დაგვკამყოფილდებოდი. როცა ჯემალის წიგნი შევიძინე, „არტეკში“ ვშეუბნობდი. თითქმის ყველას ნაწაკითხე. წიგნმა ბანაკში ისეთი ინტერესი გამოიწვია, ნაკითხვის მსურველები რიგში წინასწარ ეწერებოდნენ. მერე, როცა ერთ-ერთ მათგანს გავუხილე, წიგნი აღარა მაქვს, დავკარგე-მეთქი, ისეთი ისტერიკა ატეხა, მთელი ბანაკი ფეხზე დადგა. იმას მოსწონდა ჩემი გემოვნება, ხედავდა, რა გაბრუებული დავდიოდი ჯემალის ფრაზებით, პასაჟებით... მოკლედ, არ დანებდა, რა არ ვილონეთ ერთად, სად არ ვეძებთ წიგნი, მაგრამ — ამაოდ.

ვიდრე დავკარგავდი, „დიოსკურიას“ მატარებელში გვერდით მსხლმ გოგონებს ვათხოვე წასაკითხად. ოთხივემ წაკითხა და როცა ბოლოს ხელში მათი ცრემლით დამბალი წიგნი შემრჩა, შევწუხდი, როგორ

ამიფორიაქებია-მეთქი ეს სრულიად უცნობი ადამიანები. ერთ-ერთი მათგანი გამომიტყდა, ამ მოთხრობებმა ისე შემძრა, სხვა ლიტერატურას ერთხანს, ალბათ, ვეღარც გავეკარებო. წიგნი 1986 წელს მომპარეს. ეს ჩემ ცხოვრებაში მართლა მძიმე დანაკარგი გახლავთ.

— გმადლობ, იან, ამ არაჩვეულებრივი მოგონებისთვის და ჯემალის შემოქმედების სიყვარულისთვის. თქვენ ნამდვილად დამისახურეთ ორიგინალი და სიტყვას გაძლევთ, თბილისიდან აუცილებლად ჩამოვიტანო. მანამდე კი, ჩემ ინტერნეტ-ბლოგ-




ტორის წიგნმა დაიბუდა, მალე საუკეთესო მასალებით აგავსებთ-მეთქი.

კიდევ, მინდა გითხრა, რომ ისრაელში რამდენიმე ქართველი მეგობარი მყავს. ერთი დიდი ხანია, რაც „ამოვიდა“. ომიც გამოიარა. მეორე გავიცანი, როცა ერთ რუსულენოვან გაზეთში სახალხო მედიცინის სვეტი — „ბებია“ — გავხსენი. ქართველი ქალბატონი ციალა, ქალაქ იაზნიდან, გაზეთში მითითებული ტელეფონის ნომრით დამიკავშირდა და მას შემდეგ ვმეგობრობთ. ხშირად დავდივარ ხოლმე მის ოჯახში სტუმრად. ქალიშვილის ქორწილშიც დამპატიჟეს. თავად ციალა ქართველია, ქმარი ქართველი ებრაელი ჰყავს — ღრმადმორწმუნე კაცი. მისი ორი ვაჟი და ქალიშვილიც რელიგიურები არიან, მაგრამ არა ფანატიკოსები. ციალა ხშირად დადის საქართველოში და იქიდან ყოველთვის სევდიანი და ჩაფიქრებული ბრუნდება. ერთხელ გული გადამიშალა, აქაურ ცხოვრებას ვერ ვეგუები, უცხოა ჩემთვის, სულ იქაურობა მენატრებაო. იქ ყველაფერი მშობლიური და ახლობელია — ამბობს ციალა და დარდს შვილიშვილების მოვლით იქარვებს. მისი შემხედვარე იმ დასკვნამდე მივდი, რომ ინტელიგენტი ქართველი ქალი შეიძლება იყოს შენზე ბევრად ერუდირებული, განსწავლული, ღრმა, მაგრამ ამას არასოდეს დაგანახებს, პირიქით, ისეთ გარემოს შეგიქმნის, თითქოს ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ შენ გახასიათებდეს. ნარმოგიდგენიათ, ამით როგორ კომფორტს გიქმნის და საკუთარ თავში რამხელა რწმენას

დები, როდის მოადგება ჩემ „ფეისბუქს“ იან ბელინსკი და ღრიჭოში ახალ ბარათს დამიტოვებს. ის თურმე სიკვდილს ებრძვის, მე კი იმის მიწერაც არ ვაღივრებ, დაპირებული წიგნი ჩამოვიტანე და შეგიძლია ასლი გადაიღო-მეთქი. დაიხ, ასლი, რადგან სამის ნაცვლად, თბილისში წიგნის ერთი ეგზემპლარი ძლივს ვიპოვნე. ისიც აქეთ წამოვიღე, მაგრამ ამ სასწაულად გადარჩენილ ეგზემპლარს ახლა იანს კი არა, თვით ბესარიონ ბელინსკისაც ვერ დავუთმობ — მართლა ასლის გადაღება მოუწევს. მივწერე, გავახარე, წიგნი აქ არის-მეთქი. იმანაც მიპასუხა, კრიზისმა ჩაიარა და მალე დაგიკავშირდებიო:

— ნუ დარდობ, მანანა. ასეთ ძვირფას საჩუქარს ისედაც ვერ მივიღებდი. ასლიც მეყოფა. უცნაურია, რომ ამ ხნის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, ჯემალ თოფურის ყველა მოთხრობის რუსულად თარგმნა... ასეთი მძაფრი ისტორიები! თან როგორი ადამიანური, როგორი ნიჭიერი! თქვენ მეუბნებით, სამშობლოში ჯემალის შემოქმედებას კარგად იცნობენ და აფასებენ კიდევო. კარგია, თუ აფასებენ, მაგრამ ის მარტო სამშობლოს არ ეკუთვნის. მახსოვს, როგორ აღვარღვარეს ცრემლები მისი წიგნის ფურცლებზე იმ უცხო გოგობმა მატარებლიდან. რამდენიმე დღე ვიმგზავრეთ იმ მატარებლით და კრებული თითქმის ყველა მგზავრს წავაკითხე. არ მაზინყდება მათი რეაქციები. ზოგი შთაბეჭდილებას ისე ემოციურად გამოხატავდა, თავს უხერხულადაც კი ვგრძნობდი. ერთი მოთხრობის ფინალი ორაზროვნად



ზე შედით და იქ რუსულ ენაზე ჯემალის კიდევ ერთი მოთხრობა „მითთვის, ვინც მამამ მიატოვა“ (მთარგმნელი ანა გრივი) წაიკითხეთ. ეს მოთხრობა კრებულში არაა შესული, — მივწერე იან ბელინსკის.

— ძვირფასო მანანა, წავიკითხე მოთხრობა უფრო გვიან, ვიდრე წარმოიდგენდით, რადგან არ მიყვარს მონიტორში კითხვა. ტექსტი ელექტრონულ წიგნში გადავიტანე და კითხვას იერუსალიმში კენ მიმავალ ავტობუსში შევუდექი. ჯემალ თოფურის შემოქმედება, უდავოდ, იოლი აღსაქმელი არაა, თუ თავიდანვე მის სრულიად განსხვავებულ, მძაფრ ემოციურ ამოფრქვევებს არ აენჯობი. გაგიკვირდებათ და ამ მოთხრობამ ძალიან ადვილად წამაკითხა თავი. პირველივე ფრაზიდან ყურში გონიერი, მაგრამ საოცრად რეფლექსური ბიჭის მკაფიო ხმა ჩამესმოდა.

აქ, ისრაელში, მე ძირითადი სამუშაოს გარდა, თეატრალურ დასებთანაც ვმუშაობ, რომლებიც კონკურსებზე წასაკითხ ახალ, საინტერესო ტექსტებს და ინსცენირებებს ეძებენ. აი, დღესაც გამომიგზავნეს მოთხოვნა, მოვიძიო და შევთავაზო რაიმე უცნობი, ემოციური ტექსტი. მაშინათვე ჯემალ თოფურიძე გამახსენდა და კოლევებს მივწერე, თუ გამიმართლა და ჩემ ბიბლიოთეკაში ერთი საოცარი ავ-

გიღვივებს? ამას წინათ ერთ კარგ რუსულ სერიალს ვუყურე — „თქვენ გეყოლებათ შვილი!“ ქართველ და რუს გოგონას შორის ფილმის ფინალურმა დიალოგმა გამაოგნა: მაინც რა ფსიქოლოგიური მოტივები უნდა ამოძრავებდეს პირველს (ქართველ გოგონას) და რა დასკვნებმა შეიძლება განაპირობოს, რომ დიალოგის სადავები არცერთ მომენტში გაუშვას ხელიდან — სიტუაცია ბოლომდე მართოს. აშკარად, მენტალური ტრადიციები ერთგვარია.

ამ წერილის შემდეგ იან ბელინსკისგან ერთხანს არაფერი მიმიღია და უცებ:

— მანანა, ალბათ ძალიან უნესო ადამიანი გგონივართ, წიგნის ასლის ღირსიც თუ ვერ გავხდი. უთუოდ, არ ვიმსახურებ მართალია, წერილი დამიგვიანდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ უკვე შვიდი წელია, ონკოლოგიურ დაავადებას ვებრძვი. ექიმებმა ჩემი ძვლის ტვინის კიბოს დამუხრუჭება შეძლეს, მაგრამ ამას წინათ, სერიოზული კრიზისი მოქონდა: ნამლებიასგან გაჟღენთილი ორგანიზმი დაიბლოკა, შოდა, ექიმებს ორი თვე რისკის ზონიდან გამოვყავდი. ახლახან დავბრუნდი საავადმყოფოდან.

ესეც შენი ბელინსკი. არც კი ვიცი, რა ვთქვა, არადა, ჯემალის დაპირებული წიგნი რა ხანია, ჩამოვიტანე და თელ-ავივში ბენ ამის ქუჩაზე, თაროზე მიდევეს. ველო-

მომეჩვენა და დავინტერესდი, სხვა რა ახსნას მოუძებნის-მეთქი. ეს „გამოუხსნორებელს“ ეხება — სევდიან მოთხრობას ძალიან ღონიერ, სამართლიან და უიღბლო ენვერ ნიჟარაძეზე, რომელიც მოთხრობის ფინალში ისევე უსამართლოდ ზის ციხეში და ისევე ვილაც უბადრუკს საკნის ავტორიტეტისგან იცავს. სიკვდილის წინ ენვერას დანაწევებით ნამოცდება „რატომ?“ და თვალისა და ცრემლი გადმოვარდება. ის, ვისაც ის იცავდა, ერთი უმაქნისი ადამიანია და გარდა იმისა, რომ სასონარკვეთილი ზღაღის — „მაპატიე ენვერა!“ — სხვას ვერაფერს ახერხებს. ჩემ კითხვაზე, რა მოხდა ციხეში, რატომ მოკლეს ენვერაო, ზოგმა ხელი გაშალა, არ ვიციო, ზოგმა თქვა, ქურდი ჩიტას შეკვეთილი იქნებოდაო და მხოლოდ ერთმა, ალბათ უფრო გამოცდილმა, თქვა: იმ ორმა, ვინც ენვერამ ფიზიკურად დაჯახა და დაამცირა, მესამეს უთხრა, მოკალი ის ბიჭი და ვალეებს გაპატიებთო. სალი აზრია!

P.S. იან, იცით რას ვფიქრობ? ეგებ ჯემალის რუსულად თარგმნილი 12 მოთხრობა თქვენ გეთარგმნათ ივრითზე? გამომცემელს აქ მე ვიპოვი, — მივწერე იან ბელინსკის რამდენიმე დღის წინათ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიმიღია. ბელინსკის ქუჩის ამბავს სიურპრიზად ვინახავ, პირისპირ შეხვედრის დროს უნდა გავუხილო.



შუა საუკუნეების სპარსული პოეზია

ბაბა თაჰერი

მეუბნებოდა: ანი სიზმრად თულა მიხილავ,
მიხვდა, მის შემდეგ სიზმარში ვარ და არა — ცხადში.

ვუთხარ: ამ ლანგებს ნუ მიყვითლებ, მაკმარე ურვა,
ნურც ნურავისთან იტყვი ჩემგან განგების მდურვას,
მიხარა: თუ ჩემთან შეერთება გულით გნაღია,
სულაც რომ მოგკლა, ნუ დაგცდებ კენესა და კრულვა.

სანამ სინანულს არ აღვიძრავს შენივე ყოფა,
რომელი რჯული შეგიკედლებს, მავალო სოფლად,
სანამ ურნმუნო არ გახდები ამ ქვეყნის თვალში,
მიჯნურთა წესით ვინ გაღირსებს მუსლიმად ყოფნას?

გულო, ხომ ნახე სატრფოს ნასვლას, მოკვდი კირთებით!
თვალთ, იქეცი ჯეიჰუნად, ცრემლნაზვირთები,
სულო, ნუ ფიქრობ, ჩემს სატრფოზე ძვირფასი იყო,
მოშორდი სხეულს, უსატრფოდ არც შენ მჭირდები.

თუ სატრფო შენზე გამწყრალია, ნუ დარდობ ისე,
თითქოს მარადჟამს ცრემლის ღვარი გდიოდეს პირზე,
უნყოფე, შენი გულის ერთა სარკის მსგავსია,
სანამ შეწყურებ სარკეს, ისიც იქამდე გიმზერს.

სატრფოვ, აგავსე ჩემი არსით, დღემდე ეულმა,
ეს არც ფანდია და არც გული გადარეულა,
თუ საკუთარი არსი უკვე პირწმინდად დათმე,
იქნებ, მე შენ ვარ, იქნებ, სატრფოდ თავად ვქცეულვარ?!

ღმერთო, ცოდვილი საკუთარ თავს თავადვე ვძრახავ,
ამდენი ცოდვის გადამკიდეს რა მელის ახლა?
ჩემს გულს წყალობით მოაშუქე ზესთასოფლიდან,
რომ სამუდამოდ განვერიდო ამო ზრახვას.

ნიღბის გარეშე შენი სახე არ იხილვება,
დაეფინება გულს მიმწუხრი სევდის ჩრდილებად,
სანამ შუბისტარს არ გასცდებ ქვეყნის მნათობი,
არ შეუძლია მისი ჭვრეტა არც ერთ ქმნილებას.

მეახლა ტრფობა, სიმძიმის თან მოჰყვა განცდა,
მოჭირნახულეს ხელეური მიქცია ნაცრად,
გულის ძარღვი და ყველა მყესი ისე დამინვა,
თვალს ნაკვერჩხლები გადმოსცივდა ცრემლების ნაცვლად.

გულს ვკითხე: გულო, როგორა ხარ, რად მიმზერ მრუდად?
გულმა ცრემლის ღვრით დამიშინა ტკივილის გუნდა,
მერე მომიგო: ის საბრალო როგორ იქნება,
ვინაც ამ ქვეყნად სხვის ნებაზე იცხოვროს უნდა.

თვალში ცრემლი დგას ძილის ნაცვლად ნაავადარი,
რადგანაც შენით კვლავ გიზგიზებს გულის ღადარი,
მეუბნებიან: დაიძინე, რომ სიზმრად ნახო,
უვიცნო, ვინწი! ასეთ დროს კი ძილი სად არი.

სურვილთა ბაღში ვარდის კრეფას ჯაფას ადრიან,
იქვეა ნარიც, ბაღნარი კი ერთი ადლია,
იმედის რტოზე გაფურჩქნულა ნატვრის ვარდი და
თავს თუ არ დახრი, ვერ მიწვდები ფურცელმადლიანს.

გული ამევსო შენზე ჭმუნვით, ქვესკნელს ჩასული,
ღმერთო, უშენოდ მომეძალა ცრუ და ავსული,
გულგაბასრულთა თანალობას თავად იჩემებ,
აგერ, მეცა ვარ არანაკლებ გულგაბასრული.

თქვი: ნიშაბურის მთვარე ვარ და გადავშლი კალთას.
ნიშაბურელო, ნიშაბური თავს გიხრის კართან,
რაც შენ გაქვს, ის ხომ შენია და, რაც ჩვენ გვაქვს — ისიც,
მაშ, გვითხარ, რაღას გვაჭირდები მართლა და მართლა?!

სატრფოვ, ხალვათად მნახე და შემდეგ
ალარც მოსულხარ, არამცთუ მენდე,
შენგან დაფლეთილ სულის საყვლოს
ალარ შევკერავ განკითხვის დღემდე.

ხე ვარ ნაყოფით მწირი და ციდა,
ნანარსულარი განქარდა ღვრიტა,
ნაიქარვისფრებს ჩემი ღანვისგან
ჩემს სამარეზე გაზრდილი ტიტა.

ათარი ნიშაბურელი

მეჩეთის გზა რომელია, ღვინის დუქნის რომელი?
ჩემთვის ორივე დახშულია, ორივე მიუწვდომელი.

ვეჩვენები რინდად მეჩეთს, გული დარდმა წაღეკა,
დუქანს ხამად ვესახები, ზარ-ზეიმის მგომბელი.

მეჩეთსა და დუქანს შორის ერთადერთი გზა არი,
ეგ ერთი გზა ეძიეთ და სხვა კი დათმეთ ყოველი.

აგერ, მთვრალი იმამი წევს სირაჯხანის კარებთან,
რა კერპია, რა საცდური, მარად დაუცხრომელი.

დღეს ქაბა ხარაბათად მიჩანს შეზარხოშებულს,
მერიქიფე იმამია, სარდაფში რომ მომელის.

ათარ, ნადი, სადაც იგი სხვაზე უკეთ შეიცნობს, —
რომელია თავკაცი და მანანალა — რომელი.

საადი შირაზელი

ფრაგმენტი „ბუსთანიდან“

ერთმა ფარვანას ასე უთხრა: თუ ჯერაც ფეთქავ,
ნადი, სხვა სატრფო გამოძებნე, სხვა გულის ერთა.
სასოების გზით გაეშურე და ნულარ იწვი,
აბა, სად შენ და სად — სანთელი, ელვარე მიწყვი.
ცეცხლთან ნუ ბრუნავ, სალამანდრა არა ხარ, იცი,
ჭიდილს სჭირდება ვაჟკაცობა და არა ფიცი.
ლამურა ბნელში იხაფრება მზისაგან მფრთხალი,
უმეცრებაა, რკინის მკლავებს მიუდგე ძალით.
ვინც დუშმანია, მოლიზლარი, გიმტრობს მარადის,
უგნურებაა, მას მოყვრობდე კუბოს კარამდი.
მოსათნებარედ ასეთ ქვევას არავინ გითვლის,
რადგან თვით სულიც შეგინარავს ტარიგად მისთვის.
მეფის ასული თურმე ცოლად სურდა ამბოკარს,
ნირი წაუხდა, ველარ ითნო გულშესამკობად.
ის გულისწორად როგორ ჩაგთვლის, როცა გზნებიანს
თავად სულთნების სიყვარული მოყირჭებია.
ზიზილპიპილა ამ მეჯლისში ნასათუთები
ნუ გეგონება, ენიაზოს უბირს ნუთებით.
თუ გინდ ყველასთან უწყინარი დარჩეს სრულებით,
საბრალოვ, დაგწავს, როცა ახლოს დაეგულები.
დახეთ, ფარვანამ რა პასუხი გასცა ნელიად:
რომც დავიბუგო, სანუხარი არაფერია.
სატრფოა ცეცხლი, დავინყვებას რომ არ ბარდება,
წამეკიდება მისი ალი, თითქოს, ვარდებად.
მე არ ვენევი სატრფოს კალთას გულის სიამით,
სულის საყვლოს ექაჩება მისკენ ტრფიალი.
ცეცხლში ხომ ჩემით არ ვვარდები, მიხვდები ამდენს,
კირთმომსართველი ტრფობის ჯაჭვი კისერზე მადევს.
მე შორით მწვა და შორით მდაგა მისმა ხატებამ
და არა ახლა, ალებად რომ მეფარფატება.
ის არ მპასუხობს, სიყვარულზე არც კი იზრახვის,
ვით განდევნილი საამსოფლო სიცოცხლისათვის.
ვინ რას დამზრახავს თუ სატრფოსკენ მივიწვევ ვნებით
და თანახმა ვარ მის ფეხებთან უსულოდ გდების.
იცი, დალუპვას რად ვესწრაფვი? ესეც წესია,
როცა „ის“ არის, მე რომ გავექრე, უმჯობესია.
მინდა, დავინვა, მისი ტრფობის მთანგავს ზმანება,
მასზე უკვალოდ არ ჩაივლის სატრფოს წამება.
— კვლავ საკუთარ თავს დაუბრუნდი —
მირჩევ მუდარით, —
სხვა გამოძებნე, შენი სულის ნავსაყუდარი.
ნუ აძლევ რჩევას, საუფჯებელს ათას წიგნებად
მას, ვინც ვერასდროს ვერ მიიღებს შენს დარიგებას.
„სინდად-ნამეში“ თქმულა ზუსტად ეს ერთი პნკარი:
„თავად ცეცხლია სიყვარული, რჩევა კი — ქარი“.
სიკვდილი სადმე ჩასაფრდება, ყოვლის მზვერავი,
სჯობს, სატრფოს ხელით მომენიოს მოსანეგარი.

აბუ საიდი

თუ ქაბას ხარ, ხოლო გულით სხვა რამეს ღამობ,
ეგ მორჩილება თვალთმაქცობად გეთვლება, ხამო,
ხოლო თუ გულით ღმერთთან ხარ და დუქანში ზიხარ,
ტკბილი ღვინო სვი, რადგან ხვედრი მოგელის ამო.

საით ნავიდე, ბულბული ხმობს ბალის ბინადართ,
უშენოდ რა ვქნა, შესადარო სარო-ჩინართა,
შენი ტანია, რითაც სარო აწვერზიდულა,
შენი სახეა, რითაც ვარდი აპირმცინარდა.

ღვთიური არსი უჩინოა და ნურას ცხარობ,
დაფარულია, ვით ჯურღმულში სიცოცხლის წყარო,
თუ ყველა თევზი ერთდროულად გამოჩნდა ზღვაში,
თვით ზღვა გახდება უხილავი თევზების გამო.

ნადილს აღვიძრავ, შენ ხარ გულის ბატონ-პატრონი,
უშენოდ ვგდივართ სულთმობრძავნი, მარტოდმარტონი,
ნულარ გამყიდი, ნულარც საბელს ამხსნი ყელიდან,
ასი მონა გყავს, მე კი მხოლოდ ერთი ბატონი.

აშუკს სატრფოთი ეუღლინება სული და გარსი,
სატრფო კი ურცხვად კობტაპრუნობს, გინდ იყოს ნასი,
ჩვენ შევცოდეთ და მან მოგვაგო უხვი წყალობა,
რაც ეკადრება, იმასვე იქმს ყოველი არსი.

ნეტავ იმის გულს, ვინც ითმინა განამანია,
ვინც არ აუწყა თავისი სვე დიდს თუ პანას,
როგორც სანთელი, გულის აღზე ჩამოიღვენთა,
მაგრამ ცეცხლიდან ხელი უკან აღარ გასწია.


სატრფო თვალში მყავს, გული ოხვრით არ უნდა ვცვითო,
რარიგ ამოა, თვალში რომ ზის, მოსული ცითო,
თვალსა და სატრფოს ველარ ვარჩევ დიდი ხანია,
ან თვალში მიზის ანდა თვალის არის თვითონ.

გული სევდის ჩანგს არ აკვნესებს შენგან ნაძრახი,
აზრი არა აქვს, თუკი შენს გულს ვარამს ჩასძახის,
ხმამალა ვგოდებთ, მაგრამ მაინც არ გეყურება,
ცეცხლში ვინვით და არსად არ ჩანს კვამლის ნასახი.

ქალაქში სატრფო არ ჩანს ჩემებრ დარდის მზიდველი,
ბაზარში დამსვეს და გვერდს მივლის ხალხი იმდენი,
ვინც მყიდველია, იგი თვალში არ მომდის დიდად,
ვინც თვალში მომდის, სულ არ არის იგი მყიდველი.

ყველას ყიბლა ხარ, ვინც გეახლა სინათლის სვეტად,
შენკენ მიუწევს გული ყველა მართალს და ნეტარს,
მე ის მაფიქრებს, ვინც დღეს შენგან პირი იბრუნა,
ხვალ რაღა პირით შემოგბედავს სახეში ჭვრეტას?!

სატრფო, რომელმაც ტრფობის აღთქმა გატეხა წამში,
მიდიოდა და ხელი კალთას ჩავჭიდე მაშინ,



ჩარლზ ბუკოვსკი

სასტიკი, როგორც ტრანსულა

ისინი არასდროს შემოგთავაზებენ ევროპის რომელიმე კაფეში, შუადღის მზეზე წინა მაგიდასთან დაჯდომას.

ამას თუ გააკეთებ, შეაფურთხებენ შენს სიმამაცეს, ხელში მომარჯვებული იარაღით.

ისინი არ აპირებენ, რომ თავი კარგად გაგრძობინონ დიდი ხნის განმავლობაში. ნაბიჭვარი ძალები არ აპირებენ, დაჯდომისა და მოსვენების უფლება მოგცენ. თქვენ მათ გზაზე მოხვდით.

მწარე და შურისმაძიებელ უბედურებას სჭირდება მძლეველი, რომელიც შენ ხარ, ანდაც სხვა ვინმე აგონიაში მყოფი. ან ჯერჯერობით უკეთესად ვიდრე სიკვდილია.

სანამ კაცობრიობა იარსებებს, არასდროს იქნება მშვიდობა ადამიანებისთვის დედამიწაზე, ანდაც იქ, სადაც ისინი გაქცევას შეძლებენ.

ერთადერთი, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, ისაა, რომ მოიპოვოთ ათი ილბლიანი წუთი აქ, ან შეიძლება ერთი საათი.

რალაც შენს მიმართულებით მუშაობს ახლა, მე შენ გგულისხმობ, სხვა არავის, შენ!

ახალი ადგილი

მე ვბეჭდავ ფანჯარასთან, რომ სახეები შეიძლება მინის ზედაპირზე აღმოჩნდეს, თუ ჩამოვვარდები. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, არის ბინძური პერანგი ბანანის ხის ქვეშ.

მე ვწერ ადამიანების წასვლაზე, უმეტესად ქალების, და მე ვზივარ ჩემს შორტებში, მაისურის გარეშე, და ვცდილობ, დავარწმუნო ისინი, რომ არ ვარ მთლიანად შიშველი. და მე ვხედავ მათ სახეებს, რომლებიც თავს მაჩვენებენ, რომ ვერ ხედავენ ვერაფერს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი ყველაფერს ხედავენ. ისინი მხედავენ ისე, როგორც მე ლექსის ოფლს, მსგავსად მახინჯი ღორის ნაკბენისა, როგორც ვერ დასრულებულ მზის ჩასვლას ბულვარში.

მოტელის ნიშნულთან, სადაც ადამიანები არკანზასიდან იხდიან ძილისთვის ბევრს და ოცნებობენ კინოვარსკვლავობაზე.

იქით კარში არის რელიგიური ადამიანი და ის უსმენს მუსიკას მაღალ ხმაზე, ვამზადებ წერილს.

და იქ არის თეთრი კატა, გაუბედურებული და ნერვოზიანი, რომელსაც ეძახის ორჯერ ან სამჯერ დღეში, ჭამს და ტოვებს, მაგრამ უბრალოდ იყურება მისკენ, სულს ურხევს სიმების მსგავსად.

და იგივე ახალგაზრდა ნუდისტი კაცი, მირეკავს და ვესაუბრებით ერთმანეთს. და მომინდა, რომ დამეკიდა ყურმილი.

რბილად რომ ვთქვა, სულელია.

ახლა ქალი მირეკავს ვახშმისთვის. კარგია გქონდეს საჭმელი.

როცა საკმაოდ მშვიდი ხარ, ყოველთვის გახსენდება სასწაული. ქირა აქ ცოტა მაღალია, მაგრამ ჯერჯერობით ვახერხებ მის გადახდას.

თუ ცდას დააპირებ, ყველაფერი გააკეთე ამისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც კი დაიწყო.

თუ ცდას დააპირებ, ყველაფერი გააკეთე ამისთვის.

ეს შეიძლება, ნიშნავდეს შეყვარებულის დაკარგვას, ცოლის, ნათესავის, სამსახურის, და შეიძლება საკუთარი თავისაც კი.

ეს შეიძლება ნიშნავდეს სამი-ოთხი დღე მშვირად ყოფნას ეს შეიძლება ნიშნავდეს პარკის სკამზე გაყინვას, ეს შეიძლება ნიშნავდეს პატიმრობას, ეს შეიძლება ნიშნავდეს დაცინვას, ეს შეიძლება ნიშნავდეს იზოლაციას.

იზოლაცია არის საჩუქარი.

სხვები ამონებენ შენს გამძლეობას, რამდენად გინდა მართლა ამის გაკეთება. და შენ ამას გააკეთებ, მიუხედავად უარისა და მცირე შანსებისა. და ამაზე უკეთესს შენ ვერასდროს წარმოიდგენ.

თუ ცდას დააპირებ, ყველაფერი გააკეთე ამისთვის. არ არსებობს აქ ამის მსგავსი შეგრძნება.

შენ იქნები მარტო ღმერთებთან ერთად და ღამეები ცეცხლისაგან დაინგება. გააკეთე ეს! გააკეთე ეს! გააკეთე ეს! ნებისმიერი გზით.

თქვენ გაატარებთ ცხოვრებას მუდმივად სიცილში. ეს არის ყველაზე კარგი ბრძოლა ამ სამყაროში.

ლურჯი ჩიტები

გარეთ გამოღწევა სურს ლურჯ ჩიტს, რომელიც ჩემს გულშია. მაგრამ მე ძალიან მკაცრი ვარ მის მიმართ. ვეუბნები, დარჩი ჩემთან, არ ვაპირებ უფლება მივცე ვინმეს, რომ განახოს.

გარეთ გამოღწევა სურს ლურჯ ჩიტს, რომელიც ჩემს გულშია.

მაგრამ მე მას ვისკის ვასხამ და სიგარეტის კვამლს ვასუნთქებ. ბოზები და ბარმენები, სასურსათო მაღაზიის თანამშრომლები, ვერც კი ხვდებიან რომ ის აქ არის.

გარეთ გამოღწევა სურს ლურჯ ჩიტს, რომელიც ჩემს გულშია, მაგრამ მე ძალიან მკაცრი ვარ მის მიმართ, ვეუბნები, დარჩი სადაც ხარ, გინდა გამაბრაზო? გინდა რომ გამაუბედურო?

გინდა რომ ჩემი ნიგნების გაყიდვა შეაჩერო?

გარეთ გამოღწევა სურს ლურჯ ჩიტს, რომელიც ჩემს გულშია, მაგრამ მე ძალიან მკაცრი ვარ, მას მხოლოდ ღამდამობით ვუშვებ ხანდახან, როცა ყველას სძინავს. ვეუბნები, ვიცი რომ აქ ხარ, არ იყო მოწყენილი.

შემდეგ მე მას უკან ვაბრუნებ, ის კი ჩუმად მღერის. ბოლომდე არ მომიკლავს მე იგი და ჩვენ, ჩვენივე საიდუმლოებით ერთად გვძინავს. ეს კი საკმარისია, რომ ატირდე... მაგრამ მე არ ვტირი... და შენ?

ლიმილი სახსოვრად

ჩვენ გვყავდა ოქროს თევზები, რომლებიც მძიმე, ჩამოკონნიალეზულ ფარდასთან ახლოს, მაგიდაზე მდგარ თასში აქეთ-იქით დაცურავდნენ. და დედაჩემი, და ყოველთვის მომლიმარ დედაჩემს სურს, რომ ყველანი ბედნიერები ვიყოთ. მან მითხრა: „იყავი ბედნიერი, ჰენრი!“ და ის მართალია: ყოველთვის უკეთესია ბედნიერი იყო, როცა ეს შეგიძლია, მაგრამ მამაჩემი აგრძელებდა მის ცემას, აგრძელებდა ჩემს ცემას, რამდენჯერმე კვირაში.

როდესაც მას ასეთ მძინვარეს ვხედავდი, ვერ ვხვდებოდი რა უბიძგებდა ამისკენ.

დედაჩემი, სანყალი თევზი, სურდა, რომ ბედნიერები ვყოფილიყავით, ორჯერ ან სამჯერ მაინც დღეში. მეუბნებოდა, იყავი ბედნიერი! „ჰენრი, გაიღიმე! რატომ არასდროს იღიმი ჰენრი?“

და შემდეგ ის იღიმოდა, რომ ეჩვენებინა, როგორ უნდა გამეღიმა. და ეს იყო ყველაზე სევდიანი ლიმილი რაც კი ოდესმე მინახავს ცხოვრებაში.

ერთ დღეს, ხუთივე ოქროს თევზი მოკვდა, ისინი წყლის ზედაპირზე ტივტივებდნენ, თვალები ჯერ კიდევ ღია ჰქონდათ, და როდესაც მამაჩემი სახლში დაბრუნდა, ისინი კატას მიუყარა საჭმელად სამზარეულოს იატაკზე. და ჩვენ ვუყურებდით, როგორ იღიმოდა დედაჩემი.

და ესეც სასწაულია,
მსგავსად იმისა, დარჩე იგივე,
მაშინ როცა, ფიქრობ იარაღზე,
ტროტუარებზე და მოხუცებზე
ბიბლიოთეკებში.

ჯერ კიდევ პატარა რაღაც
უნდა გავაკეთოთ,
მსგავსად ამოხეული ფურცლის ქამისა,
რომ შევინარჩუნოთ სიცოცხლე.

საჭმელი ცივდება,
მე უნდა ნავიდე.
მას არ ესმის, რომ უნდა მივალნიო
ამ რაღაცის ფინიშამდე,
მაგრამ ეს არის უბრალოდ
პატარა ღარიბი სამეზობლო,

აქ არ არის ბევრი ადგილი ხელოვნებისთვის,
სულერთია რა არის,
მე მოვუხმინე შადრევნებს,
აქ არის გასაყიდი კალათები
და ბიჭი გორგოლაჭებით.

მე მივდივარ, მე მივდივარ...

სასწაულისთვის, საჭმლის სასწაულისთვის,
იქნებ გაბრაზებული არავინ იყოს კიდევ,
ამ ადგილას, და კიდევ სხვა ადგილებში.

სულიერი კრიზისი

ძალიან ბევრი,
ძალიან ცოტა,
ან არასაკმარისი,

ძალიან მსუქანი,
ძალიან გამხდარი,
ან არავინ,
სიცილი ან ცრემლები,
უნაკლო ან უმნიშვნელო,

მოძულეები,
შეყვარებულები.

არმიელები დარბიან სისხლიან ქუჩებში,
იქნევენ ღვინის ბოთლებს,
ხიშტებს ჩხვლეტენ და ქალწულებს აუპატიურებენ.

ბებერი კაცი იაფფასიან ოთახში
მერლინ მონროს სურათით,

ბევრი მოხუცი იაფფასიან ოთახებში
ყოველგვარი ფოტოების გარეშე.

ამ სამყაროში ძალიან დიდია მარტოობა,
თქვენ შეგიძლიათ ნახოთ საათის ნელი მოძრაობები.

ამ სამყაროში ძალიან დიდია მარტოობა,
თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ მოციმციმე ნეონის ნიშნები
ვეგასში, ბალტიმორში, მიუნხენში.

აქ არის ძალიან ბევრი დაღლილი ადამიანი,
განადგურებულები,
„დასახიჩრებულები“ სიყვარულით
ან უსიყვარულოდ.

გარიგების ყიდვა
შესაძლებელია სუპერმარკეტში.

ჩვენ არ გვჭირდება ახალი მთავრობა,
ახალი რევოლუციები,
ჩვენ არ გვჭირდება ახალი კაცი,
ახალი ქალი,
ჩვენ არ გვჭირდება ახალი გზები,
ცოლების გამოცვლები,
წყლის სანოლები,
კარგი კოლუმბიური კოქტეილები,
წყლის მილები,
ხელოვნური პენისები,
საათები, რომლებსაც შეუძლიათ გიჩვენონ დრო.

ადამიანები არ არიან კარგები ერთმანეთისთვის.
ერთი ერთში
მარქსი უნდა ჩამოშალოს,
ცოდვა არ არის გარკვეული სისტემების მთლიანობა
ქრისტიანობა განადგურებულია,
ცოდვა არ არის ღმერთის მკვლელობა.

ადამიანები არ არიან ახლა კარგად ერთმანეთთან.

ჩვენ ვართ შეშინებულები,
ჩვენ ვთვლით, რომ სიძულვილი ნიშნავს ძალას,
ჩვენ ვთვლით, რომ ქალაქი ნიუ-იორკი
შესანიშნავი ქალაქია ამერიკაში.

რაც ჩვენ გვჭირდება, არის ნაკლები ბრწყინვალეობა,
რაც ჩვენ გვჭირდება, არის ნაკლები ინსტრუქცია,

რაც ჩვენ გვჭირდება, არის ნაკლები პოეტები,
რაც ჩვენ გვჭირდება, არის ნაკლები ბუკოვსკები,
რაც ჩვენ გვჭირდება, არის ნაკლები ბილი გრეჰამები.

ყველაზე მეტად რაც გვჭირდება არის,
მეტი ლუდი,
მეტი მბეჭდავი,
უფრო მეტი სკვინჩები,
მეტი მწვანეთვალე ბოზები, რომლებსაც
არ შეუძლიათ შენი გულის შეჭმა,
როგორც ვიტამინის აბები.

ჩვენ არ ვფიქრობთ ერთი ადამიანის ტერორის შესახებ,
აჩრდილი ერთ ადგილას,
მარტო
შეუხებელი
არასასურველი მცენარეების მორწყვა.
ყოფნა ტელეფონების გარეშე,
რომლებიც არასდროს რეკავენ,
რადგან არ არის ის ერთი.

მეტი მოძულეები ვიდრე შეყვარებულები,
დანანევრებული კანონები როგორც ქსოვილები.

ადამიანები არ არიან კარგები ერთმანეთისთვის,
ადამიანები არ არიან კარგები ერთმანეთისთვის,
ადამიანები არ არიან კარგები ერთმანეთისთვის

და მიძევების რხევა და ღრუბლები
და ძაღლები აფსამენ ვარდებს.
და ოკეანე მოდის
და მიდის
და მიდის
უგრძნობელი მთვარის მიმართულებით

და ადამიანები არ არიან კარგები ერთმანეთისთვის.

ფოსტის მისაღებად გამოსული

ხუმარა შუადღე,
სადაც ჭიების დივიზიები,
სტრიპტიზიორების მსგავსად,
არიან გაუპატიურებულები შავი ჩიტების მიერ.

გავედი გარეთ,
ზოგი ზემოთ მიყვებოდა ქუჩას, ზოგი ქვემოთ,
მწვანე არმიელები გაფერადნენ
მარადიულად.
4 ივლისი.
მე ძალიან გაბერილი ვჩანდი შიგნიდან,
თითქოს რაღაც უსახელო ორგანო გამისკდა,

შეგრძნება, შესაძლებელია, რომ მტერი
არსად იყოს ახლო-მახლო.

და მე მივალნიე საფოსტო ყუთამდე,
არაფერი არ არის,
არც გაზიდანაა ნერილი, რომელიც
მაფრთხილებს ხოლმე, რომ გათიშავენ.

არც ჩემი ყოფილი ცოლისგანაა არაფერი.

ბრწყინვალეობა და მისი
ამჟამინდელი ბედნიერება.

ჩემი ხელი რაღაც რწმენით მაინც იქექებოდა
საფოსტო ყუთში
იქამდე, სანამ არ დავნებდი,
მკვდარი ბუზიც კი არ არის იქ.

ვფიქრობ, რომ სულელი ვარ,
უნდა ვიცოდე, რომ ეს ასე მუშაობს.

მე შევედი სახლში ყვავილების
მსგავსად შეცვლილი.

არის რაიმე? — ქალმა მკითხა.

არაფერი — ვუპასუხე. რა გვაქვს საუზმედ?

ქრონაპი ხელოვნების კლასში

კარგი ამინდი
კარგი ქალის მსგავსია.
ის ყოველთვის არ ხდება
და როცა ხდება,
ის არ არის ყოველთვის
ბოლო.
კაცი არის ყოველთვის
სტაბილური:
თუ ის ცუდია,
უფრო მეტი შანსია,
რომ დარჩეს ამ გზაზე.
თუ ის კარგია,
მას შეიძლება, ხელი ძლიერად
ჩასჭიდონ.

მაგრამ ქალი იცვლება
ბავშვებისგან,
ასაკისგან,
დიეტისგან,
ურთიერთობებისგან,
სექსისგან,
მთვარისგან,
უკმარისობისგან,
მზის არსებობისა და
კარგი დღეებისგან.
ქალმა უნდა იარსებოს
სიყვარულით.
კაცს შეუძლია, გახდეს ძლიერი
სიძულვილში ყოფნით.

მე ვსვამ ამ ღამეს სპანგლერის ბარში
და მე მახსოვს ძროხები,
რომლებიც ერთხელ დავხატე ხელოვნების
გაკვეთილზე და ისინი
არ გამოიყურებოდნენ ცუდად.
ისინი გამოიყურებოდნენ იმაზე კარგად,
ვიდრე სხვა ყველაფერი აქ. მე ვსვამ
სპანგლერის ბარში და მაინტერესებს,
რომელი მიყვარს და რომელი მძულს,
მაგრამ ნებსები გაქრა.
მე მიყვარს და მძულს მხოლოდ
ჩემი თავი,
ისინი ჩემს გარეთ დგანან
მაგიდიდან გადმოვარდნილი, გაგორებული
ფორთოხლების მსგავსად,
ის, რაც მე მაქვს გადანყვებილი:
მოვკლა ჩემი თავი თუ
შევიყვარო ჩემი თავი?
რომელი არის ღალატი?
საიდან მოდის ეს ინფორმაცია?

ნიგნები... როგორც დამსხვრეული შუშა.
მე არ ვაპირებ ტრაკის აწევას ჯერ.

ხედავ, რომ ღამდება?

ჩვენ ვსვამთ აქ და ველაპარაკებთ ერთმანეთს
ერთმანეთის შეცნობისთვის.


იყიდე ძროხა ყველაზე დიდი სახელით,
იყიდე ძროხა ყველაზე დიდი ღუნდულით,

ბარმენი მისხამს ლუდს,
ის ჩაიცუცქა ბარში
ოლიმპიელი მორბენლის მსგავსად.

ბართან ჩამომდგარი ვსვამდი,
ამინდი ძროხებისთვის ცუდია,
მაგრამ ნკეპლა
მზადაა დარტყმისთვის.

მწვანე ბალახზე
არასაიმედო მწვანე თვალი
ყოველთვის მასევედიანებს,
მე ვსვამ ლუდს და შემდეგ
დაბლა დავახეთქე,
სწრაფად რომ მომცენ
ძლიერი სიყვარული.

თარგმანი გურო დავითიძე





ერთი კვირით აღწე

ანონსი იუწყება, რომ ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალი 8 დეკემბერს, 20.00 საათზე გაიმართება. ცნობილია ისიც, რომ მკითხველთა უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა, პირდაპირ ტრანსლაციას „ტვ პირველის“ ეთერში უყუროს, რადგან დარბაზი, რომელიც 8 დეკემბერს სასაბაოდ მოირთვება, ყველა მსურველს ნამდვილად ვერ დაიტევს. „საბას“ წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი მასპინძლობს.

საბას დაჯილდოებას ყოველთვის უძღვის ხოლმე წინ ერთგვარი მარჩიელობა, ვინ არის ის, ვინც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ ვის მიაკუთვნებს ლიტერატურულ პრემიას და ვის — არა. ჟიურის წევრების კონფიდენციალურობის დაცვას „საბას“ მესვეურები ყოველთვის გულმოდგინედ ცდილობენ, ზოგჯერ გამოსდით, ზოგჯერ — არა. ალბათ, იგივე სურვილი ამოძრავებთ ადამიანებს, რომლებსაც სხვაგვარი პასუხისმგებლობა აქვთ. საბოლოოდ, სწორედ მათ უყენებენ ხოლმე ბრალდებას ან უწონებენ არჩევანს. წლებადელი ჟიურის შემადგენლობა კი, როგორც მოგვიანებით, დაჯილდოების ცერემონიალის დაწყებისთანავე, გაირკვა, ამ თვალსაზრისით, დებიუტანტენტებით აღმოჩნდა საესე — დებიუტანტმა ჟიურის წევრებმა გულმოდგინედ იშრომეს, 2018 წლის ლიტერატურული მოსავალი „აიღეს“ და მათგან საუკეთესოებიც გამოავლინეს.

8 დეკემბერი 19.30

კონსერვატორიასთან ხალხმრავლობა. მწერლები, პოეტები, ლიტერატორები, გამომცემლები, უბრალოდ, ლიტერატურის მოყვარულები და გულშემატკივრები „საბას“ დაჯილდოების მეჩვიდმეტე ცერემონიალს ელიან. იკრიბებიან, მუსაიფობენ, საკუთარ ვარაუდებს გამოთქვამენ. ფინალური სიის წარმომადგენლები არ იმჩნევენ, თუმცა ამ კარაა, ლელავენ, რადგან „საბას“ მოპოვება ყველას უნდა — ეს ერთგვარი პრესტიჟია როგორც ავტორისთვის, ისე — გამომცემლობისთვის. უამრავ ადამიანში ჯერ კიდევ ვერ ხვდები, ვინაა ჟიურის წევრი. ისე ათქვეფ-



ახალი სივრცე, ახალი სახეები და ძველი ჯილდო

ილან, ისე არტისტობენ, ისე გულმოდგინედ მალავენ საკუთარ როლს, გიჭირს, წარმოდგენა შეიქმნა, ვინ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. ამიტომ ისლა დაგრჩენია, 20.00 საათს დაელოდო. დაჯილდოების ცერემონიალი ხომ სწორედ მათი წარდგენით იწყება ხოლმე.

20.00

სატელევიზიო ამწე დაიძრა. კამერები ამოძრავდა — ლიტერატურული პრემია „საბა“ პირდაპირ ეთერშია. გაისმის გია ყანჩელის მუსიკა — მეგობრებისადმი მიძღვნილი წერილებიდან გიორგი ცაგარელი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სიმები ორს აჟღერებენ — გოგი მესხიშვილი და ელდარ შენგელაია. ღვთაებრივი მუსიკა სრულდება და სცენაზე „საბას“ უცვლელი მასპინძელი — რატი ამალობელი ჩნდება. ლიტერატურული ნაწილი იწყება...

ჟიური

მწერლები — რუსუდან რუხაძე, გიორგი კეკელიძე, თეა თოფური; ლიტერატორი ზაალ ანდრონიკაშვილი და მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე — ბოლოსდაბოლოს, გაგვეცნენ, წამოგვიდგნენ, თავი დაგვიკრეს და იმ გადაწყვეტილებების საჯაროდ გასაცხადებლად მოემზადნენ, რომლისთვისაც, ალბათ, ბევრი იკამათეს, იმსჯელეს და გარკვეულ კონსენსუსამდეც მივიდნენ. დღეს მათი დღეცაა — მათი ლიტერატურული გემოვნების შეფასების დღე.

გაუქმებული ნომინაცია ორი ნომინაციისთვის

ფინალური სიის გამოცხადებისას ლიტერატურულმა საზოგადოებამ გაიგო, რომ ჟიურის გადაწყვეტილებით „საბა“ არ გაიცემოდა ნომინაციაში „წლის საუკეთესო კრიტიკა“. თუმცა, სრულიად მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა ის სიურპრიზი, რაც ჟიურიმ ორ ადამიანს მოუნ-



ყო. ამ ნომინაციისთვის განკუთვნილი ჯილდო გადაეცათ მწერლებს, რომელთა შემოქმედებამაც გულგრილი ვერ დატოვა მათი შემფასებლები. „საბა“ საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის ნილს სიმეონს (გიორგი მასხარაშვილი — „14 კრისტალის თეორია“ — „სულაკაურის გამომცემლობა“) და საუკეთესო ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზისთვის ნინო ლომაძეს („ვაშლის ბაღები“ — გამომცემლობა „ინდიგო“) ერგოთ. ფავორიტებსა და ამ არჩევანზე საზოგადოების წინაშე ზაალ ანდრონიკაშვილმა და რუსუდან რუხაძემ ისაუბრეს.

ერთი ნომინაციის ორი გამარჯვებული

ყოველწლიურად ჟიურის ყველა წევრი ერთხმად აღნიშნავს, რომ თარგმანის „მოსავალი“ ყოველთვის უზემოსავლიანია. საუკეთესოს გამოვლენაც ჭირს. ასე იყო წელსაც და სწორედ ამიტომ ჟიურიმ გადაწყვიტა ნომინაციაში „წლის საუკეთესო ქართული თარგმანი“ ორი გამარჯვებული დაეახლებინა — „საბა“ გადაეცათ ლელა დუმბაძეს ვირჯინია ვულფის „ორლანდოს“ („სულაკაურის გამომცემლობა“) და ნანა ტონიას ვერიპოდეს „ჰეკატებს“ (გამომცემლობა „ლოგოსი“) საუკეთესოდ თარგმანისთვის.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოები

წლის საუკეთესო რომანი აკა მორჩილაძე („კუპიდონი კრემლის კედელთან“ — „სულაკაურის გამომცემლობა“).

წლის საუკეთესო პროზაული კრებული ზაალ სამადაშვილი („ოსტატთან შეხვედრა“ — გამომცემლობა „ინტელექტი“).

წლის საუკეთესო პოეტური კრებული ზაზა ბიბილაშვილი („ფაზლი“ — „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა“).

წლის საუკეთესო დებიუტი თემურ ბაბლუანი („მზე, მთვარე და



პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“ — „სულაკაურის გამომცემლობა“).

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა

სულხან სალაძე („უცნობი ძველი აჭარა“ — გაზეთი „ბათუმელები“).

წლის საუკეთესო პიესა ალექსანდრე ლორთქიფანიძე („დისტოპიისები“ — „ნიგნები ბათუმში“).

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი

„საბას“ ერთგვარი ტრადიციაა, დაჯილდოების კულმინაციურ ნაწილად იქცეს იმ ადამიანის დაჯილდოება, ვისი ღვაწლიც გამორჩეულია ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

წელს „საბა“ ქართული მთარგმნელობითი სკოლის კლასიკოსს, მსოფლიო ლიტერატურული შედეგების საუკეთესო მთარგმნელს, ქალბატონ მანანა გიგინეიშვილს მიაკუთვნეს.

დასასრული დასაწყისისთვის

სატელევიზიო ამწე კვლავ დაიძრა. კამერებიც ისევ ამოძრავდა — ლიტერატურული პრემია „საბა“ დასასრულს უახლოვდება. ამჯერადაც გაისმის გია ყანჩელის მუსიკა — მეგობრებისადმი მიძღვნილი წერილებიდან გიორგი ცაგარელმა ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სიმებთან ერთად კიდევ ორი ააჟღერა — ლანა ლოლობერიძე და ჟანრი ლოლაშვილი.

„საბას“ უცვლელი მასპინძელი რატი ამალობელი გვემშვიდობება და 2019 წლის ლიტერატურული მოვლენაც წარსულის კუთვნილება ხდება.

და ეს დასასრული მომავალი წლის დასაწყისია.

წელს ჟიურიმ ერთგვარი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მომავალ წელს ჟიურის ახალი წევრები მათსავით ალელდებიან, ინერვიულებენ, იკამათებენ, იმსჯელებენ და მთელ ქართულ ლიტერატურულ სამყაროს აფორიაქებენ მორიგი გამარჯვებულების დასახელების მოლოდინით. მათაც მოუწევთ მკითხველთა წინაშე გამოცდის ჩაბარება.

ეს ის უწყვეტი ციკლია, რომელიც, აგერ უკვე ჩვიდმეტი წელია, არ დარღვეულა. ისტორია გრძელდება...



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სასახლე
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004